საქართველოს
პარლამენტი
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
№ 103 (382)
შაბათი, 13 ივნისი, 1992 წელი
ფასი 2 მანეთი

## წუხელ შევიტყვეთ

### სამხედრო კომენდანტის ცნობა

იარაღის ჩამორთმევისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ქალაქში განხორციელებულ ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს დადებითი შედეგები მოაქვს, უთხრეს საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის სამხედრო კომენდანტის პრესსამსახურში. თუმცა, ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკი კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესებაზე. მაგალითად, ამ კვირის დამდეგიდან გაიტაცეს 10 ავტომანქანა, რაც ხშირად იარაღის მუქარით ხდებოდა. მოხდა ერთი მკვლელობა, სამი ძარცვა, სახელმწიფო ქონების ორი ქურდობა, აღინიშნა ბინის ქურდობის ოთხი ფაქტი. ამ დანაშაულთა ნაწილი უკვე გახსნილია.

გასული სამი დღის განმავლობაში კომენდანტის საათი 25-კაცმა დაარღვია.

### გართულებები არ იქნება

არავითარი გართულება არ მოჰყვება იარაღის ჩაბარების პროცესს, ასე განაცხადეს 12 ივნისს ქუთაისში გამართულ ოპერატიულ სხდომაზე იმერეთისა და გურიის ზონაში დისლოცირებული გვარდიის და მხედრიონის ნაწილების ხელმძღვანელებმა, რაიონების და ქალაქების გამგებლებმა.

როგორც სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო წარმომადგენელმა დასავლეთ საქართველოში ჯონი ქარჩავამ საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, მილიციის სამმართველოებთან გამოყოფილია სათავსები, სადაც შეინახება ჩაბარებული იარაღი.

მზადდება ბინები იმ ნაწილებისათვის, რომლებიც სამსახურს უკვე ეგრეთ წოდებულ ყაზარმულ პირობებში გააგრძელებენ. რაც შეეხება გვარდიის ქუთაისის ბატალიონს, საკითხი განიხილება შიდა ქართლის რაიონებიდან მისი დაბრუნების შემდეგ.

### რუსეთის პარლამენტმა იმსჯელა

მოსკოვი (იტარ-საქდესის საპარლამენტო კორ.). სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის კონფლიქტური სიტუაცია განიხილეს რუსეთის პარლამენტის დახურულ სხდომაზე, რომელმაც, რესპუბლიკაში „დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის მიუხედავად, გადაწყვიტა იმუშაოს. პარლამენტის მეთაურის პირველმა მოადგილემ სერგი ფილატოვმა დღის წესრიგის წინასწარი განხილვისას აუწყა დამსწრეთ, რომ „გუშინ ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე მორიგდნენ სამხრეთ ოსეთსა და შესაბამისად ჩრდილოეთ ოსეთში პროცესის ექვს ეტაპად მოწესრიგების თაობაზე“.

### მხედრიონელთა საყურადღებოდ!

12 ივნისს, დღის 2 საათზე მადრაკის სასახლეში გაიმართება სრულიად საქართველოს „მხედრიონის“ შეკრება. ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

შეხვედრაზე განხილული იქნება „მხედრიონის“ წევრების ხელახალი რეგისტრაციის საკითხი.

# აღვადგინოთ ქართველი და ოსი ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა

## ოქმი

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ა. შევარდნაძისა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ა. ხ. გალაზოვის შეხვედრები

1992 წლის 10 ივნისს დაბა ყაზბეგში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძისა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ა. გალაზოვის შეხვედრა.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, თავდაცვის მინისტრი თ. კიტოვანი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. კავსაძე, ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ხეთაგუროვი, ჩრდილოეთ ოსეთის სსრ შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები გ. კანტემიროვი და ი. ვზაევი, ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ეროვნებათა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე თ. კუსოვი.

შეხვედრის დროს მხარეები მორიგდნენ:

1. მიაღწიონ ცეცხლის დაუყოვნებელ შეწყვეტას ქართველთა და ოსთა კონფლიქტის ზონაში.
2. 1992 წლის 12 ივნისამდე შექმნან მეთვალყურეთა ერთობლივი ოთხმხრივი ჯგუფი კონფლიქტში ჩაბმული შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენელთა მონაწილეობით.
3. შეუდგნენ ავღანელ მეომართაგან ერთობლივი მშვიდობისმყოფელური ქვეგანაყოფის ფორმირებას კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით.
4. 1992 წლის 12 ივნისამდე შექმნან ერთობლივი პრესცენტრი, რომელშიც შევლენ დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები და რომელიც მოამზადებს და გაავრცელებს შეთანხმებულ ობიექტურ ინფორმაციას.
5. უახლოეს დროში მოაწყონ კონფლიქტში ჩაბმული მხარეების შეიარაღებულ ფორმირებათა ხელმძღვანელების შეხვედრა და მოლაპარაკება.
6. შეიმუშაონ დაზამთრებამდე მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნებისთვის პირობების შექმნის ღონისძიებათა კომპლექსი.
7. დაადასტურონ, რომ საჭიროა შეიქმნას ერთობლივი ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი მიმდინარე წლის 20 მაისს სოფელ კეხვის რაიონში ჩადენილი დანაშაულის გამოსაძიებლად.
8. გაითვალისწინონ სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეციალური სამსახურების ურთიერთმოქმედება.
9. მიზანშეწონილად მიიჩნიონ კონფლიქტის მოწესრიგებისთვის მოსალაპარაკებელ პროცესში რუსეთის ფედერაციის და სომხეთის რესპუბლიკის მონაწილეობა.
10. მოუწოდონ რესპუბლიკების საზოგადოებრიობას, შემოქმედ ინტელიგენციას, ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სპორტულ საზოგადოებათა წარმომადგენლებს აქტიურად დაუჭირონ მხარი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მშვიდობისმყოფელურ ძალისხმევას, მათ მისწრაფებას აღადგინონ ქართველი და ოსი ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა, მათი დიდი ხნის და მრავალმხრივი ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობა.
11. მიიღონ ქართველი და ოსი ხალხებისადმი მიმართვა ყაზბეგის შეხვედრის მონაწილეთა სახელით.

| საქართველოს რესპუბლიკისაგან | ჩრდილოეთ ოსეთის სს რესპუბლიკისაგან |
|---|---|
| ე. ა. შევარდნაძე. | ა. ხ. გალაზოვი. |

ოქმი შედგა ორ ეგზემპლარად და გადაეცა ორივე მხარეს.

დაბა ყაზბეგი. 1992 წლის 10 ივნისი.

ნომერში

- საქართველოსა და რუსეთს შორის მზადდება ახალი, დიდი ხელშეკრულება. 2
- ყველას ერთნაირად ეკუთვნის ჭირისუფალი, ანუ ფიქრები სტალინზე. 3
- იცოცხლე, ბებერო! ინტერვიუ თურქეთში პრემიერის შემდეგ. 4

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ცნობისა და მათთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ

ხელმძღვანელობს რა გაეროს წესდებისა და ჰელსინკის დასკვნითი აქტების ძირითადი პრინციპებით და პატივს სცემს სუვერენული სახელმწიფოების ხალხების უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთარი ბედი და სახელმწიფო წყობილება, თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზები, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა ცნობს დამოუკიდებელ რესპუბლიკებს — ბელარუსს, თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უკრაინას, უზბეკეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს და მზად არის დაამყაროს მათთან დიპლომატიური ურთიერთობა.
2. საქართველოს რესპუბლიკა მზად არის ერთდროულად დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან, რომელთა დამოუკიდებლობა ადრე იქნა აღიარებული.

ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო გამოთქვამს იმედს, რომ საქართველოს რესპუბლიკასა და აღნიშნულ ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა შემდგომშიც განვითარდება და გაღრმავდება.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
**ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 11 ივნისი.

# ჩამოვირეცხოთ სამარცხვინო ლაქა ღვთისა და შთამომავლობის წინაშე

## ყაზბეგის შეხვედრის მონაწილეთა მიმართვა ქართველ და ოს ხალხებს

დღეს, როცა არ წყდება სროლა და იღუპებიან სრულიად უდანაშაულო ადამიანები, როცა განსაცდელშია საუკუნოვანი კავშირი, მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდნენ ჩვენი ხალხები, და რაც მათი მუდმივი სიამაყის საგანი იყო, ამ კრიზისულ მომენტში საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ:

კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და თანხმობის აღდგენის ამოსავალი წერტილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ცეცხლი ორივე მხარემ. არა არის რა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა ამჟამად. შეგნება იმისა, რომ აუცილებლად უნდა გადაიდგას ეს ნაბიჯი, საშუალებას მოგვცემს მოლაპარაკების პროცესში ჩავაბათ მოსახლეობის ყველა ფენა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები, უხუცესთა საბჭოები, რელიგიური მოღვაწეების, შეიარაღებულ ფორმირებათა წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, ჟურნალისტები, ახალგაზრდობა, სპორტსმენები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ხალხების აწმყო და მომავალი.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ჩვენს ხმას ყურად იღებენ, იგი ჩასწვდება ყოველი ქართველის, ოსის გულს, სხვა ხალხების წარმომადგენლებს და გაიცნობიერებენ პირად პასუხისმგებლობას კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისთვის. ამ რწმენას გვინერგავს დღევანდელი შეხვედრა, რომელმაც პასუხისმგებლობის, კონსტრუქციულობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა. თუ დღეს არ გამოვიჩენთ პოლიტიკურ სიბრძნეს და კეთილ ნებას, სიმტკიცეს და კეთილგონიერებას, ახლანდელი და მომავალი თაობები ამას არ გვაპატიებენ. მოვალენი ვართ, ჩამოვირეცხოთ ეს სამარცხვინო ლაქა ღვთისა და შთამომავლობის წინაშე, კაცობრიობის წინაშე.

| საქართველოს რესპუბლიკისაგან | ჩრდილოეთ ოსეთის სს რესპუბლიკისაგან |
|---|---|
| ე. ა. შევარდნაძე,<br>თ. კ. კიტოვანი,<br>ა. ი. კავსაძე. | ა. ხ. გალაზოვი,<br>ს. ვ. ხეთაგუროვი,<br>გ. მ. კანტემიროვი,<br>ი. ი. ვზაევი,<br>თ. ე. კუსოვი. |

# წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობით

**თუ გსურს ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი ბილიკით იარო, ეს ბილიკი, უწინარეს ყოვლისა საკუთარ გულში უნდა გაიკვალო. ეს ბილიკი კი ნამდვილად იყო გაკვალული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძისა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ახსარბეკ გალაზოვის 10 ივნისს გამართული შეხვედრის მონაწილეთა გულებში.**

სურათზე: მოლაპარაკების დროს.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

**დიალოგის** მიზანი მკაფიოდ იყო განსაზღვრული: დაისახოს ცხინვალის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის გზები, ბოლო მოეღოს შეიარაღებულ დაპირისპირებას, რომლის შედეგადაც იღუპებიან ყოვლად უდანაშაულო ადამიანები, ათი ათასობით ოჯახი კი იძულებულია გაიზიაროს ლტოლვილთა ხვედრი. ასეთ სიტუაციაში, თითქოსდა, ჭირს ემოციათა დაოკება შექმნილი ურთულესი ვითარების შეფასებისას. მაგრამ კეთილმა ნებამ და ორივე მხარის სწრაფვამ არ დაიშურონ ძალ-ღონე პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის განსაზღვრა რეგიონში შექმნილი ვითარების მთავარი ასპექტების განხილვის კონსტრუქციული ხასიათი.

ედუარდ შევარდნაძემ და ახსარბეკ გალაზოვმა ილაპარაკეს კონფლიქტის სათავეებსა და მიზეზებზე და აღნიშნეს, რომ მისი მოთავენი არიან პოლიტიკანები, რომლებსაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ დაუტოვებიათ ასპარეზი და სულაც არ არიან დაინტერესებული იმით, რომ მხარეებმა მიიღონ რაიმე პოზიტიური გადაწყვეტილება.

მოლაპარაკების დაწყებისთანავე აღინიშნა: მშვიდობის დამყარების გზაზე წინსვლის მთავარი პირობაა ცეცხლის შეწყვეტა, უწინარეს ყოვლისა უნდა შევაჩეროთ სისხლისღვრა, რადგან ყოველი გასროლა კონფლიქტის ზონაში დიდ ტკივილს აყენებს როგორც მთლიანად საქართველოს, ისე ჩრდილოეთ ოსეთსაც. სხვათა შორის, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, რომ მათთან მყოფ ლტოლვილებს მარტო ამ უკანასკნელ დღეებში კიდევ 5 ათასი კაცი შეემატა.

ცეცხლის შეწყვეტისათვის გამიზნული ღონისძიებების დეტალური განხილვისას ორივე მხარემ გამოთქვა რამდენიმე წინადადება. მათი შევსებისა და დაზუსტების შემდეგ გადაწყდა შეიქმნას მეთვალყურეთა ერთობლივი ოთხმხრივი ჯგუფი. შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამ ჯგუფის მუშაობაში უნდა მონაწილეობდნენ კონფლიქტში ჩათრეული სამხედრო ფორმირებების წარმომადგენლებიც.

ცალკე დაისვა საკითხი ცხინვალის რეგიონიდან გადაცემული ინფორმაციის შესახებ, რომელიც ხშირად შეიცავს ისეთ ცნობებს, სიმართლეს რომ არ შეესაბამება, ეს კი, ითქვა შეხვედრაზე, კიდევ უფრო ამწვავებს ისედაც რთულ ვითარებას. ამიტომ, იქვე მიიღეს წინადადება მეთვალყურეთა ჯგუფთან ერთობლივი პრესცენტრის მოქმედების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს შეთანხმებული ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას.

ვინ უნდა გააკონტროლოს სიტუაცია კონფლიქტის ზონაში, შეასრულოს მშვიდობისმყოფელის მისია? შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მიერ გამოთქმულ იდეას ავღანელ მეომართაგან ერთობლივი ქვეგანაყოფის შექმნის შესახებ.

ამ დიალოგის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა ის, რომ მხარეები არ შემოიფარგლნენ მხოლოდ სადღეისო ამოცანების განხილვით. საქმე შეეხო იმასაც, რომ აღდგეს ტრადიციული გულთბილი ურთიერთობა კონფლიქტში ჩართულ გუშინდელ მეზობლებს, ხშირად კი — სისხლის ნათესავებს შორის. ამ საქმეში, აღინიშნა შეხვედრაზე, უნდა ამოქმედდეს ხალხური დიპლომატია, გაიმართოს ორი ხალხის წარმომადგენელთა შეხვედრები ყველა დონეზე. თანაც, აქ არ არის საჭირო ყველაფერი დავიწყოთ ნულიდან, უნდა აღვადგინოთ ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპორტსმენებს, უბრალო მშრომელებს შორის ძველი ძალზე მჭიდრო ურთიერთობა, დავამყაროთ ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირები. ამ მიზნით შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ქართველი და ოსი ხალხებისადმი.

შეხვედრის ოქმის მომზადების დროს, შესვენებისას, ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ყაზბეგის რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, გაუზიარა მათ თავისი აზრები საქართველოს აწმყოსა და მომავლის შესახებ, აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამართულ მოლაპარაკებას, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ქართველები და ოსები ყოველთვის ცხოვრობდნენ მეგობრულად და ეს მეგობრობა კვლავ უნდა აღვადგინოთ. ახლა საქართველოში მრავალი პრობლემაა და მათი გადაჭრა ძირითადად დამოკიდებულია სტაბილურ ვითარებაზე. მხოლოდ ასეთ პირობებში მოგვეცემა შესაძლებლობა შევუდგეთ აღმშენებლურ შრომას და ქვეყანა გამოვიყვანოთ ეკონომიკური კრიზისიდან, გავმართოთ შემოდგომაზე ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები და ღირსეული ადგილი დავიკავოთ ხალხთა მსოფლიო გაერთიანებაში.

შემდეგ გაიმართა შეხვედრის ოქმის ხელმოწერის ცერემონია. ოქმის ხელმოწერის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ და ახსარბეკ გალაზოვმა დიდი შეფასება მისცეს შეხვედრის შედეგებს, კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ დაიშურონ ძალ-ღონე იმისთვის, რომ შეწყდეს სამარცხვინო ძმათამკვლელი ომი ცხინვალის რეგიონში. მათ უპასუხეს აგრეთვე ჟურნალისტთა კითხვებს.

**თენგიზ გრიგალაშვილი.**

რეზო ამაშუკელი

# ვითარ წერს ორბელიანი...

„თამარის დროშა გაშალეს“...
გრიგოლ ორბელიანი.

დრო იყო, შარვან-რანიდან
ოდენ ბასიან-სპერამდე,
რანაირი და
რანი და
ყრმანი სატევარს ფერავდნენ!

— მომხდურის წესის ამგები,
და ერთმანეთის გამტანი!
...და კვნესდნენ ათაბაგები
„შემხვეწნი ფერხთა მათთანი“...

ისვრიან შხეფებს ლალისას
თამარის იამბიკონი!
გულს მაწერია ხვალისად
იმავ გრიგოლის
სტრიქონი:

„ოსი, ფეხმარდი მთიული,
ბრძოლაში შეუპოვარი“...
— სად გაქრა გონი ღვთიური,
რატომ გვაქეზებს მტოვარი?!.

ძუძუმტე, ცოდვის ჩამდენი,
ძარღვს თავად გადაიხსნიდა!
— ვაი, მამულო, რამდენი
„დათვრნეს ისარნი სისხლითა“...

ჩემს სასძლოს შენი შვენოდა
ვერცხლით ნაქარგი გვირისტი,
ომს მიმავალი მღეროდა
ძმაი,
ძმის გასაჭირისთვის!

თუ მტრობას გავჭედთ ხუნდებად,
არც ვინ დავრჩებით გაისად,
საფლავში გადაბრუნდება
ასული ბურდუხანისა!

ეხილოს შვების სადარი
მამულს, დაღლილს და გათელილს,
ერთ საწნახელში ჩამდგარი
ოსი,
აფხაზი,
ქართველი!

ენახოს ამოძირკვული
თაფლის შემრყვნელი იელი,
ჩემზე მოსული დიდგული
უცხო და გადამთიელი!

იქნებ კვლავ ამოაღანდეს
სამშობლოს ცაზე ირისე,
იქნებ ერთხელაც დაქალდეს
საქართველოში პირიმზე.

სად ყვავილთ ფშვინვა ვაზის და
ყანის წკრიალი მიმოდის,
— მდიდარი ფარნავაზითა,
ამაყი წმინდა ნინოთი!

კვლავ მოვაგონოთ მოქიშპეს
რარიგ ვიყავით მთლიანი
და ისევ დავდგეთ დროშის ქვეშ
ვითარ წერს ორბელიანი!

1992 წ. 11 ივნისი.

მეათე მუზა

# GEORGIE ქართული კინოხელოვნება მსოფლიო ასპარეზზე

**საფრანგეთის** განთქმულ საკურორტო ქალაქ კანში აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა, მაისის შუა რიცხვებში, ორი კვირის განმავლობაში, ყოველწლიურად იმართება გახმაურებული მსოფლიო კინოფესტივალი, რომელიც სამყაროს „მეათე მუზის“ მიღწევებს, ავ-კარგს ეკრანებზე წარმოაჩენს, მისი მდგომარეობის, ზრდა-განვითარების პერსპექტივებს, გზებს სახავს. ეს ფესტივალი გამორჩეული, უპრეცედენტოა, მსოფლიო კინოფესტივალების მექად მიიჩნევა.

„კანი-92“-ში მონაწილეობის მისაღებად ფესტივალის ორგანიზატორების მიერ მიწვეული იყო საქართველოს რესპუბლიკის კინოკორპორაციის პრეზიდენტი, კინორეჟისორი, ბატონი რეზო ჩხეიძე.

ჩვენი კორესპონდენტის მასთან საუბრის თემაც სწორედ ზოგიერთ საფესტივალო საკითხს, ასევე მასში კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გადაღებული მხატვრული ფილმის კონკურსგარეშე მონაწილეობას, ჩვენი ეროვნული მხატვრული კინოხელოვნების დღევანდელ მდგომარეობასა და მისი ზრდა-განვითარების ლოკალურ საკითხებს უტრიალებს...

**რ. ჩხეიძე:** — სწორედ კანში შედგა პირველად მსოფლიო კინოხელოვნების უკვდავი კლასიკოსების: ვისკონტის და ფელინის, კუროსავას და ტარკოვსკის, ბერგმანის და სხვა დიდოსტატთა ქმნილებების პირველი ჩვენება.

**კორ.:** — და არა მხოლოდ „ისინი...“ ჩვენი ქართული კინოხელოვნების წარმომადგენლებიც, კინორეჟისორებიც, წარსულშიც და ახლაც მსოფლიო ელიტარული კინოხელოვნების ავანგარდში ითვლებოდნენ და დღესაც ტოლს არ უდებენ.

**რ. ჩხეიძე:** — ნამდვილად ასე იყო. დღესაც ასეა, თუნდაც „კანი-92“ ავიღოთ. ამჯერად, უპირველეს ყოვლისა, ჩემი აზრით აღნიშვნას იმსახურებს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: კანის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი საფესტივალო ჟიურის — რომელსაც ამჯერად მსოფლიოში ცნობილი ფრანგი მსახიობი, ჟერარ დეპარდიე ხელმძღვანელობდა, — წევრი გახლდათ კინოსტუდია „ქართული ფილმის“, ქართული მხატვრული კინოხელოვნების კინოსარეჟისორო სკოლის ახალგაზრდა თაობის ერთი მკაფიო წარმომადგენელი, ქალბატონი ნანა ჯორჯაძე, რაც დღევანდელი ქართული მხატვრული კინოხელოვნების ევროპაში მსოფლიო აღიარებაზე მეტყველებს.

**კორ.:** — მაისის დღეებში საკურორტო ქალაქ კანის კრუაზეტის სანაპიროზე, ფეშენებელურ სასტუმროებში, კაფე-რესტორნებში, საფესტივალო კინოდარბაზებში იკრიბება მსოფლიო კინოხელოვნების ელიტის მრავალი წარმომადგენელი. ამ მდიდრულ, მიზნობრივ სანახაობას, — კანის საერთაშორისო კინოფესტივალს ვინ აფინანსებს?!

**რ. ჩხეიძე:** — კანის ფესტივალი ზეიმია, მის ბიუჯეტს 22 მილიონი ფრანკი შეადგენს, სადაც შესამჩნევი წილი ქალაქის სუბსიდიებზე მოდის. მოგებაც ცოტა არ უნდა იყოს. ამგვარი მდიდრული სანახაობა, გართობა, კინორეკლამა, კინოვაჭრობა, ხელოვნების ზეიმი, დიდ თანხებს მოითხოვს. სამაგიეროდ, კანის საქალაქო ბიუჯეტში სარფიანი მოგებაც განაღდებულია. აქ ჩამოსული ყველა სტუმარი ფულის დასახარჯავად ირჯება. საბოლოო ჯამში, მოგებაში კინოხელოვნება რჩება.

**კორ.:** — „კანი-92“-ის დირექტორატის მიერ ქართული მხატვრული კინოხელოვნების ერთ-ერთი თავკაცის მოწვევა რით იყო განპირობებული?!

(დასასრული მე-2 გვ.).

ამ დღეებში

[illegible]

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე:

# ჩვენს ურთიერთობას კარგი მომავალი აქვს

**— საქართველოს ხშირად კავკასიის შვეიცარიას უწოდებენ, — განაცხადა რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბატონ ჟან-პიერ რიტერის მიღებისას.**

— შეიძლება ეს პრეტენზიულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ადამიანებს ოცნებას ვერ აუკრძალავთ. ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ თქვენგან, — თქვა შემდეგ სახელმწიფო საბჭოს მეთაურმა, — იქნება ეს ყოფაცხოვრების მოწყობა თუ სამხედრო მშენებლობა პოლიტიკის ნეიტრალიტეტის პირობებში. ჩვენ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ ყველა დონეზე, რადგან ჩვენს ურთიერთობას კარგი მომავალი აქვს.

შეეხო რა რესპუბლიკაში შექმნილ შიდაპოლიტიკურ ვითარებას, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში არის არჩევნების დანიშვნის შესაძლებლობა და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ გვყავდეს კანონიერი მთავრობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში არჩევნების შედეგად მოვა.

ბატონმა ჟან-პიერ რიტერმა, რომელმაც გულითადი მადლობა გადაიხადა შეხვედრისათვის, თქვა:

— შვეიცარიელებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ იმ ქვეყნის მიმართ, სადაც ჩვენზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა და ჩაისახა ცივილიზაცია. ვფიქრობ, რომ ჩვენი ურთიერთობა უფრო სრული უნდა გახდეს, ჰქონდეს კონკრეტული ხასიათი. თქვენ აშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, დემოკრატია კი იოლი საქმე როდია. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, თავს გაართმევს ყველა სიძნელეს.

სურათებზე: შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჟან-პიერ რიტერი რწმუნებულების სიგელებს გადასცემს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს; საქართველოს რესპუბლიკისა და შვეიცარიის კონფედერაციის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების დოკუმენტების ხელმოწერა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ი. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# მომავლის გარანტად

## მის აღმატებულებას ბატონ ბორის ელცინს, რუსეთის პრეზიდენტს

პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ,

მიიღეთ გულითადი მილოცვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციის მიღების დღის გამო.

12 ივნისი ახალი ხანის დასაწყისია რუსეთის სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ამ თარიღს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო რუსეთის ხალხებისათვის, არამედ სხვა რესპუბლიკებისთვისაც, რომლებიც დიდხანს ცხოვრობდნენ რუსეთთან ერთად და ჩვენი საერთო წარსულის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ.

დღეს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი ურთიერთობა ააგონ სრული თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის სუვერენიტეტისა და ინტერესების პატივისცემის პრინციპებზე. ეს უდიდესი მიღწევაა, რომლითაც შეგვიძლია ყველამ ვიამაყოთ. ეს ნამდვილად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოების შექმნის უნიკალური შესაძლებლობაა.

ვიმედოვნებთ, რომ ამ გზაზე საქართველო და რუსეთი პარტნიორობას გაუწევენ ერთმანეთს, ერთად იმოქმედებენ ჩვენი სახელმწიფოების წინაშე წამოჭრილი რთული პრობლემების გადაჭრაში.

საქართველოს და რუსეთს მეგობრობისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აკავშირებთ და ეს მიგვაჩნია ჩვენი ურთიერთობისათვის ნათელი მომავლის გარანტად.

ქართველი ხალხი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო და მთავრობა პირადად თქვენ გისურვებთ წარმატებებს და ჯანმრთელობას, ხოლო რუსეთის ფედერაციის ხალხებს — აყვავებას.

პატივისცემით

**ე. შევარდნაძე.**

თბილისი.
1992 წლის 12 ივნისი.

# არ დავკარგოთ დრო ხელშეკრულების დადებამდე

## ტელეფონით ისაუბრეს ე. შევარდნაძემ და ბ. ელცინმა

11 ივნისს ბატონ ელცინის ინიციატივით ტელეფონით ისაუბრეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ და რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა. საუბარი შეეხო საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დღევანდელ მდგომარეობას. ბორის ელცინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭიროა დაჩქარდეს ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პრინციპებზე დიდი ხელშეკრულების მომზადება. მან განაცხადა, რომ მისი განკარგულებით შექმნილია ავტორიტეტული სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დავალებული აქვს დააჩქაროს და უახლოესი დროისათვის დაამთავროს ეს სამუშაო.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე მიესალმა პრეზიდენტის ამ განცხადებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში, თავის მხრივ, უკვე პრაქტიკულად განხილვის პროცესშია ამგვარი ხელშეკრულების პროექტი. ტელეფონით საუბრის დროს განიხილეს აგრეთვე, ცხინვალის რეგიონის პრობლემები.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ რუსეთის პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია დაბა ყაზბეგში გამართული შეხვედრის შესახებაც.

ბატონმა ელცინმა გამოთქვა სურვილი, რომ მეთვალყურეთა ჯგუფში იყვნენ რუსეთის წარმომადგენლები. ამასთან იგი მიესალმა იმ გადაწყვეტილებას, რომ ყოფილ „ავღანელ" მეომართაგან შეიქმნას ინტერნაციონალური ბატალიონები, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე ჩადგებიან დაპირისპირებულ მხარეთა შორის. რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა სამომავლოდ პირადად მიიღოს მონაწილეობა ქართველთა და ოსთა მხარეებს შორის გამართულ მოლაპარაკებაში. რაც შეეხება მოლაპარაკების თარიღებს, ეს უახლოეს ხანში დადგინდება.

საუბარი შეეხო აგრეთვე ბლოკადის შეწყვეტას, საქართველოსათვის გაზის მოწოდების განახლებას და ფართო ეკონომიკური თანამშრომლობის დაწყებას უკვე დღეიდან, რათა არ დავკარგოთ დრო ხელშეკრულების დადებამდე.

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი.**

# მტკიცდება მეგობრობის ხიდი

11 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ისრაელის სახელმწიფოს ქნესეთის (პარლამენტის) წევრი, ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ეფრაიმ გური.

ბატონმა შევარდნაძემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ფართოვდება პირდაპირი და საქმიანი კონტაქტები საქართველოსა და ისრაელს შორის, და აღნიშნა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა ცდილობს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ სფეროში საქართველო-ისრაელის ურთიერთობის განმტკიცებას.

სახელმწიფო საბჭოს მეთაურმა ისტორიულ სამშობლოში მცხოვრებ ყველა ქართველ ებრაელს დიდი მადლობა შეუთვალა ქართული კულტურის, ენის, ტრადიციების პროპაგანდისათვის დაუცხრომელი მუშაობისა და იმის გამო, რომ ისინი არ წყვეტენ კავშირს თავიანთ მშობელ საქართველოსთან.

საუბრისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო-ისრაელის ურთიერთობის ისტორიის შემობრუნების ეტაპი გახდა ორი სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. განიხილეს აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო კონკრეტული საკითხები.

# უკრაინისა და საქართველოს ლიდერთა შეხვედრის წინ

11 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო უკრაინის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლები ბატონი ნიკოლოზ მიხალჩენკო და ბატონი სერგეი ბურიაკი, რომლებმაც სახელმწიფო საბჭოს მეთაურს გადასცეს პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკის პირადი წერილი.

უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლებმა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადასცეს მიწვევა ოფიციალურ ვიზიტად ესტუმროს კიევს. მხარეებმა დათქვეს, რომ საქართველო-უკრაინის უმაღლესი დონის შეხვედრის ვადები დამატებით იქნება შეთანხმებული.

# მიზეზები ცნობილია, გამოსავლის პოვნა ძნელდება

## 10 ივნისს ბატონ თენგიზ სიგუას თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მორიგი სხდომა

### ბიუჯეტი, რომელიც ეშაფოტზე ადის

**ეკონომიკის სტაბილურობამდე ჯერ ძალიან შორსაა, ძალიან. ფინანსური კრიზისი გრძელდება, მიზეზები ცნობილია, ახლობელია, ჩვენია: ისე გაგვიშინაურდა, მოცილება გაგვიძნელდება ფრიად.**

**უბედურება ის არის, რომ იმ ცნობილ მიზეზებს ახალი და საკმაოდ მოულოდნელიც ემატება.**

**ციტატა** დადგენილების პროექტიდან:

„ქვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ ვერ განახორციელა ოპერატიული ღონისძიებები სისტემის საწარმოებში დაგროვილი მზა პროდუქციის სარეალიზაციოდ. ანალოგიური მდგომარეობაა რიგ სხვა დარგებშიც".

როგორ მოგწონთ? ასე ირღვევა ჩვენი წარმოდგენა საყოველთაო დეფიციტზე.

ამ ფონზე განიხილა საქართველოს მთავრობამ წლევანდელი იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები, რომლებიც, რასაკვირველია, ძალიან მძიმეა.

ისევ ციტატა: „პრაქტიკულად შეწყდა მეტწილ საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური რესურსების ფორმირების პროცესი. რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებამ მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში 350 მილიონი მანეთი, ანუ წლიური დავალების 1,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო მათ მიერ მიღებულმა ზარალმა 100 მილიონ მანეთს გადააჭარბა".

გამგები გაიგებს რა ტენდენციაც ვლინდება 4 თვეში წლიური დავალების მხოლოდ 1,5 პროცენტით შესრულების ფაქტში.

ყველა დანარჩენისთვის კი ფინანსთა სამინისტრო განმარტავს, რომ 4 თვეში წარმოებული პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) მოცულობა შესადარ ფასებში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 12 მლრდ მანეთი და მეტია, ანუ 43 პროცენტზე მეტით შემცირდა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა — 47,5 პროცენტით; მოსახლეობის ფასიანი მომსახურებისამ შარშანდელის მხოლოდ 27,6 პროცენტი შეადგინა.

ეროვნული მეურნეობის ფინანსებს თითქმის 11 მილიარდი მანეთის ტვირთად დააწვა აგროსამრეწველო კომპლექსის, სათბობისა და ენერგეტიკის, არქიტექტურისა და მშენებლობის, მრეწველობის, ვაჭრობის სამინისტროების. სამომხმარებლო კოოპერაციის გადაუხდელი ვალები.

რესპუბლიკაში არ არის ფული. მისი მიმოქცევის დესტაბილიზაციის გაღრმავების მანიშნებელია ნაღდი ფულის გასავლის შემოსავალზე 1,6 მილიარდი მანეთით ანუ 38,1 პროცენტით გადამეტება.

სახელმწიფო ბიუჯეტი თბილისის ქუჩებში მომრავლებულ საკმაოდ რესპექტაბელური გარეგნობის მათხოვრებს დაემსგავსა: გამვლელთაგან, ვისაც შეეცოდება, ფულს დაუდებს ასფალტზე აკურატულად გაფენილ გაზეთზე, ვისაც არა, ჩაუვლის; ვისაც არაფერი აქვს, რისი მიმცემია. ხელგაწვდილი ბიუჯეტის შემოსავალი 4 თვეში 60 პროცენტზე მეტად ჩამორჩება გათვალისწინებულს.

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია კი ჯერ ახალფეხადგმულია და კონტროლის პალატასთან ერთად კანონის რეალურად ამოქმედების დაპირების სტადიაშია.

რესპუბლიკის ბიუჯეტმა იანვარ-აპრილში 1907,7 მილიონი მანეთი ვერ მიიღო, გასავალმა კი 1680,3 მილიონი მანეთი შეადგინა.

ანალოგიური მდგომარეობაა ადგილობრივ ბიუჯეტებშიც.

საბოლოოდ დაგვრჩა ის, რაც უნდა მიგვეღო: ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა.. რას ნიშნავს ეს, ბოლო ორი წელიწადია, ყველანი შესანიშნავად ვგრძნობთ, სანამ შეგრძნების უნარი გაგვაჩნია.

ამიტომ არ ჰქონდათ შეკითხვები მოხსენების გამო. სამაგიეროდ იყო ცხარე კამათი.

### „კავკასიური ცარცის წრე"

**თითქმის** ორ საათს გასტანა მსჯელობამ ამ საკითხზე. რასაკვირველია, ურთულესია მდგომარეობა, კრიზისია, ჩიხია კატასტროფის მაუწყებელი წითელი შუქნიშნით; რასაკვირველია, მთავრობის პრეზიდიუმის ამ სხდომაზე ეს უმწვავესი პრობლემა ვერ გადაწყდებოდა, მაგრამ მსჯელობდნენ, ეძებდნენ, წინადადებებს აყენებდნენ.

ვერ ვიტყვით, იპოვეს-მეთქი გამოსავალი. ვერც იპოვნიდნენ, რადგან ჯერჯერობით კაცობრიობას არ გააჩნია „განვითარებული სოციალიზმიდან" კაპიტალიზმში უმტკივნეულოდ გადასვლის რეცეპტი.

იყო ცდა შემფასებლური პუნქტების დამატებისაც: არადამაკმაყოფილებლად შევაფასოთო გარკვეულ სამინისტროთა მუშაობა — ეს იმ ძვირფასი ბიუროკრატიულ-ბრძანებლური საგანძურიდანაა, რომელსაც ვერ ველევით, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას რეპლიკამ დადგენილების პროექტიდან „მომწოდებლური" და „დამრაზმავი" ლოზუნგების ამოღების შესახებ ის-ის იყო ჩამოსაკიდად გამზადებული დამოკლეს მახვილი ააცდინა „სასჯელმისასჯელთ".

— სიტუაცია იმდენად საგანგაშოა, რომ დადგენილება ვერაფერს უშველის. ალბათ, საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოვაცხადოთ, — იყო ასეთი მოსაზრებაც. და, მოდით, მივყვეთ ამ განხილვის ძირითად დებულებებს, რომლებიც მინისტრებმა გამოთქვეს.

— ბევრს დავკარგავთ, თუ უახლოეს დღეებში არ მოვიწვევთ მთავრობის საგანგებო სხდომას ამ პრობლემის განსახილველად, ყველა სამინისტროს, ყველა რეგიონის ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

დღემდე გაურკვეველია სამინისტროების მუშაობის მრავალი საკითხი. ძირეულ რგოლთან მათი ურთიერთობა, იმ რგოლთან, სადაც პროდუქცია იქმნება. აქ არის ურთიერთგამომრიცხავი მომენტები.

— ბიუჯეტის რეალიზაციის საკითხებში პრაქტიკულად უნდა ჩაერთოს ეკონომიკური რეფორმების შტაბი.

— საბაზრო ურთიერთობებზე რეალურად ვერ გადავდივართ, რადგან არასტაბილური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა. ძველი სამეურნეო ურთიერთობებისკენ დაბრუნება უაზრობაა. იქნებ მართლაც განსაკუთრებული, საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადოთ!

— ჩვენ სათანადოდ ვერ ვაფასებთ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის შესაძლებლობებს. ფაქტობრივად მან უნდა მართოს ბიუჯეტის შევსების პროცესი.

თუ დავამკვიდრებთ მართვის ისეთ მექანიზმს, როდესაც საგადასახადო ინსპექციის მიერ დარგში არსებული მდგომარეობის შემოწმებული, ანალიტიკური მასალის საფუძველზე მინისტრი ეკონომიკური ბერკეტების, საკადრო პოლიტიკის ამოქმედებით ზემოქმედებას მოახდენს ბიუჯეტთან ურთიერთობის საკითხთა მოგვარებაზე, ეს რეალურად შეუწყობს ხელს პრობლემის გადაჭრას.

— საამისოდ მაკონტროლებელი მექანიზმი უნდა მუშაობდეს ეფექტიანად. სიტუაცია ამჟამად ისეთია, რომ არსად არ იცავენ ელემენტარულ დისციპლინას. ვინ უნდა მართავდეს ამ პროცესს? სამინისტროებს ავუკრძალეთ, ძირეული რგოლების ხელმძღვანელები პასიურობენ. ისეთი აუცილებელი საკითხი, როგორიც არის ბალანსის გაკეთება იურიდიული პირების მიერ, უმეტეს შემთხვევაში იგნორირებულია.

**ხომ** არ შეიკრა კრიზისის გამოუვალი, მოჯადოებული, „კავკასიური ცარცის წრე", როდესაც ერთს სურს და უფლება არ აქვს, მეორეს აქვს უფლება, მაგრამ არ სურს, რადგან ხელს არ აძლევს?

დაველოდოთ „სახალხო მოსამართლის" — აზდაკის განაჩენს?

ოთხმოციანი წლების დამლევს, პოპულისტური განწყობილებების აღზევების ჟამს სახელმწიფოებრიობა ანტიხალხურობად იყო გასაღებული. დღეს, საგნებს ჭეშმარიტი მნიშვნელობა უბრუნდება და, იქნებ, სწორედ ამ პროცესში უნდა ვეძებოთ პრობლემის გადაჭრის პრინციპი: თუ ბიუჯეტი სახელმწიფო ბიუჯეტია, თუ მისი განმკარგავი ორგანო სახელმწიფოა, მის ჩამოყალიბებაში უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო მართვის სტრუქტურები. ასეთია ლოგიკა.

ყველა სამინისტრო თავისი სისტემის საჭიროებისათვის ბიუჯეტიდან სახსრებს ტრადიციულად ითხოვს. მაგრამ იმავე ბიუჯეტის შესავსებად, ახლა უკვე „ახალი ტრადიციით" არაფერს აკეთებს.

რით დავძლიოთ ეს ორგანიზაციულ-ფუნქციური ალოგიზმი? სამინისტროების საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების აღდგენით?

არა, რადგან ეს ორგანულად მიუღებელია საბაზრო ურთიერთობისათვის. ეს არ არის და არც შეიძლება იყოს სამინისტროს ფუნქცია.

### მკლავჭიდი რეპლიკებით

— სამინისტროებს ფუნქციები გამოვაცალეთ და ამ ფუნქციათა შემსრულებელი ხალხი დავუტოვეთ იგივე ან უფრო მეტი რაოდენობით.

— სამინისტროები შემცირდა,

— პირიქით, გაიზარდა: 36 სამინისტრო და დეპარტამენტია დღეს საქართველოში.

— მინისტრს თუ მინისტრობა სურს, დარგის ბედი უნდა აინტერესებდეს. თუ ფინანსებში არ ან ვერ ჩაიხედავს, დარგს ვერც ფლობს და ვერც მართავს.

— საგადასახადო ინსპექციამ თავისი ფუნქცია აქტიურად უნდა შეასრულოს, მაშინ პრობლემაც მოიხსნება.

— მაგრამ ერთ ინსპექტორზე 300-350 საწარმო მოდის. ასეთ პირობებში როგორღა შეამოწმონ ძირეული რგოლები?

— საქართველოში ამდენი საწარმო საერთოდ არა გვაქვს. თუ კოოპერატივებს გულისხმობთ, სხვაა. მაგრამ ასეთი შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობის შემცირება ინსპექტორებსაც ხელს არ აძლევს.

საკითხი ასე დადგა: აგებს თუ არა პასუხს ბიუჯეტის შესრულებაზე დარგის ხელმძღვანელი, მინისტრი?

აგებს.

მაგრამ არა მართვის ადმინისტრაციული მეთოდებით. არამედ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით. თუმცა ჯერჯერობით არაფერი, მსგავსი ამისა, არ კეთდება. არადა სახელმწიფომ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ყველა სფეროში თავისი ინტერესი თუ არ დაიცვა, დავღუპავთ სახელმწიფოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ტალღაზე.

**რესპუბლიკის** მთავრობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ამ დღეებში ოპერატიულად ჩატარდება ორსაფეხურიანი აქცია: ეკონომიკური რეფორმის რესპუბლიკური შტაბის გაფართოებული სხდომა მოისმენს ამ საკითხს და შეეცდება შეიმუშაოს კრიზისიდან გამოსვლის ოპტიმალური გზები, შემდეგ აქ დასახულ კონკრეტულ პროგრამას განიხილავს და დაამტკიცებს მთავრობის საგანგებო სხდომა.

**ყველაფრიდან** ჩანს, რომ არ იქნება „მსუბუქად გასავლელი" ეს ღონისძიებანი, რომელთა მნიშვნელობაც, შეიძლება ითქვას, რესპუბლიკის ფარგლებს სცილდება. საზღვარგარეთის ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები „დიდი თვალებით" გვიყურებენ, რა ძალი შეგვწევს ქადილისა — რამდენად სერიოზულია ჩვენი მისწრაფება ახალი ეკონომიკური ურთიერთობების გზით მსოფლიო საფინანსო-სამეურნეო პროცესში ინტეგრირებისაკენ.

ამაზეა დამოკიდებული ჩვენთან მათი ეკონომიკური ურთიერთობის „ყოფნა-არყოფნა". პარალელური არგუმენტი: იაპონური გაზეთის „იომიურის" ცნობით „დიდი შვიდეული" თავს შეიკავებს და შეუჩერებს რუსეთს დაპირებული დახმარების პაკეტს 24 მილიარდი დოლარის ოდენობით, რადგან ამ სახელმწიფოში არ განხორციელებულა კონკრეტული ღონისძიებები ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად და ინფლაციის შესაკავებლად.

პრობლემები ნაცნობია, პერსპექტივა — შესაძლებელი.

**10 ივნისს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმმა 20-ზე მეტი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა. დღის 2 საათზე დაწყებული სხდომა საღამოს 8 საათისათვის დამთავრდა.**

# ქართული კინოხელოვნება მსოფლიო ასპარეზზე

(დასასრული)

რ. ჩხეიძე: — „კანი-92"-ის საკონკურსო ჩვენებაში, ამჯერად „ქართულ ფილმს" მონაწილეობა არ მიუღია. უწინ, საკონკურსო ჩვენებებში არაერთხელ მიგვიღია მონაწილეობა და სხვადასხვა პრიზები, ჯილდოები, დიპლომებიც მიგვიღია, რაზედაც ცალკე ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი, აი რას მინდა ხაზი გავუსვა:

კანის საერთაშორისო კინოფესტივალი, — მრავალმიზნობრივი, მრავალპლანიანი შეჯიბრი-სანახაობაა, სადაც არა მხოლოდ შერჩეული მხატვრული ფილმების საკონკურსო ჩვენებები, პრიზების, ჯილდოების, დიპლომების მინიჭება, ადგილების განაწილება ხდება, ასევე სხვადასხვა დანიშნულების მიზნობრივი, თემატური მხატვრული ჩვენებები. „შეჯიბრი" ტარდება, სადაც კინოს დარგის სავალი გზები, მისი პერსპექტივები ისახება.

ერთი ასეთი ჩვენება — შეჯიბრი იყო, ამჯერად გამართული ეგრეთწოდებული „15 რეალიზატორი", — სიტყვა „რეალიზატორს" ფრანგები, „კინორეჟისორს" ეტყვიან. კინოფესტივალის ორგანიზატორები წინასწარი სელექციით, მსოფლიოს წამყვან კინოქვეყნებში, თავადვე არჩევენ ფესტივალზე წარსადგენ, საჩვენებელ, მათი აზრით საინტერესო მხატვრულ ფილმებს, რომლებიც კონკურსის გარეშე ილებენ მონაწილეობას და არც დიპლომებით, პრიზებით ან ჯილდოებით აღინიშნება.

ამჯერად მსოფლიოს ახალგაზრდა კინოხელოვნების მდგომარეობის, მის ზრდა-განვითარებაში ახალგაზრდა კინორეჟისორების წვლილზე, მათ პერსპექტივებზე, პროფესიულ დაოსტატებაზე, ეგრეთწოდებულ „15-რეალიზატორში" მონაწილეობას იღებდა, ნიჭიერი ახალგაზრდა კინორეჟისორის ლევან ზაქარეიშვილის მიერ გადაღებული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ისინი" (სცენარის ავტორები: გ. ბადრიძე, ლ. ზაქარეიშვილი), რომელმაც პრესის კინოკრიტიკოსთა ყურადღება მიიპყრო, მაღალი შეფასება მიიღო, რაც თავისთავად ვფიქრობ, მრავლისმთქმელი ფაქტია და ქართული მხატვრული კინოხელოვნების საიმედო ხვალინდელი დღის მაუწყებელია.

კინორეჟისორ ლევან ზაქარეიშვილს გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: 1983 წ. — „მამა", 1984 წ. — „გარსევანი", 1985 წ. — „ნისლი", 1987 წ. — „ისინი"; ეს მისი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია.

აქვე აღსანიშნავია, რომ ფილმის დემონსტრირების დროს დარბაზში არაერთხელ გაისმოდა ტაში. გამართულმა პრესკონფერენციამ დაადასტურა მაყურებლის და სპეციალისტების გულთბილი დამოკიდებულება ფილმისადმი. პრესკონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ დამდგმელი რეჟისორი ლ. ზაქარეიშვილი და კომერციული ბანკის „ატლანტის" მმართველი თარხან მაღრაძე, რომელიც აღნიშნული ფილმის ერთ-ერთი სპონსორია.

კორ.: — წარსულში კანის მსოფლიოს კინოფესტივალებზე დაჯილდოვებული ქართული ფილმების შეხსენებას დაგვპირდით...

რ. ჩხეიძე: — და აი რატომ. მოგეხსენებათ, ჩვენი ყოფის წარსული წლები, ჩვენი რესპუბლიკისათვის, საზოგადოებისათვის, მათ შორის ქართული კინოხელოვნებისათვის, როგორი წლები იყო?! მიუხედავად ამისა, ისევე, როგორც ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოებაში, ჩვენს ეროვნულ კინოხელოვნებაშიც, ეროვნული, სოციალური, ჰუმანური, ზოგადსაკაცობრიო მოტივების, ამავე დროს მწვავე ხასიათის ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების წინა, პირველ პლანზე წამოწევის პროცესების ეკრანზე ასახვის ცდა არ შეწყვეტილა, არ შენელებულა, პირიქით, ჩვენი კინოხელოვნება, სხვადასხვა ხერხებით, ფორმების გამოყენებით, ძიებით ამას ახერხებდა, რითაც მსოფლიო კინოხელოვნების საერთო, გაზრდილ ყურადღებას იმსახურებდა...

კორ.: — და დღესაც იმსახურებს...

რ. ჩხეიძე: — სამყაროს პროგრესული კინოხელოვნების რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესში, ჩვენი პატარა ქვეყნის, მცირე ერის დიდი კინოხელოვნება, თავის სათქმელს ყოველთვის ამბობდა, კინოს პლასტიკური, სახეობრივი ფორმებით, მათ მკაფიო დემონსტრირებას ახერხებდა, ახდენდა, ჟანრობრივი მრავალსახეობის კინოესთეტიკას ამკვიდრებდა: სოციალურ დრამას და კომედიას, მწვავე ხასიათის ტრაგიფარსს და პოლიტიკურ გროტესკს, მსუბუქ იუმორს და ზნეობრივ-ეთიკური ხასიათის კინონოველისტიკას, — სოციალური დანიშნულების მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმებს წარმოსახავდა ეკრანზე. ასე ყალიბდებოდა ქართული კინოფენომენი (ეს ტერმინი მტკიცედ არის დამკვიდრებული მსოფლიო კინომცოდნეობაში).

...შედეგი?! აი ისინიც:

1956 წელი, — კანის მე-9 საერთაშორისო კინოფესტივალი: კინორეჟისორების თენგიზ აბულაძის და რეზო ჩხეიძის მხატვრულ ფილმს „მაგდანას ლურჯას" მიენიჭა მთავარი პრიზი „ოქროს რტო".

1966 წელი — კანის საყმაწვილო ფილმების მე-6 საერთაშორისო კინოფესტივალი: კინორეჟისორ მიხეილ კობახიძის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქორწილი" — ჟიურის დიდი პრიზი „საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის".

1968 წელი, — კანის საყმაწვილო ფილმების მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალი: კინორეჟისორ შოთა მანაგაძის მხატვრული ფილმი „ხევსურული ბალადა", მშრომელთა ჟიურის პირველი პრემია და ახალგაზრდობის ჟიურის მეორე პრემია.

1984 წელი, — კანის 37-ე საერთაშორისო კინოფესტივალი, კინორეჟისორ დიმიტრი თაყაიშვილის მულტიპლიკაციური ფილმი „ქირი", — ფესტივალის პრიზი „გრან პრი".

1987 წელი — კანის მე-40 საერთაშორისო კინოფესტივალი: კინორეჟისორ თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი „მონანიება", — მთავარი ჟიურის სპეციალური პრიზი, კათოლიკური ეკლესიის ჟიურის პრიზი „ჰუმანიზმისათვის", კრიტიკისა და პრესის საერთაშორისო ფედერაციის პრიზი „ფიპრესი".

1987 წელი, — კანის მე-40 საერთაშორისო კინოფესტივალი: კინორეჟისორ ნანა ჯორჯაძის მხატვრული ფილმი „რობინზონიადა". პრიზი „ოქროს კამერა".

საგულისხმო და ნიშანდობლივია ასეთი ფაქტიც:

1957 წელი: ქართველი კინორეჟისორის მიხეილ კალატოზიშვილის მხატვრულმა ფილმმა „მიფრინავენ წეროები", — კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო მთავარი პრიზი „ოქროს პალმის რტო".

მართალია, სურათი „მოსფილმის" სტუდიაში იყო გადაღებული, მაგრამ მისი ავტორი ხომ ქართველი კაცი იყო, — ალბათ ესეც შემთხვევითი არაა.

რატომ მოვიგონეთ და შევახსენეთ ეს ფილმები?

დასკვნა: როგორც დასტურდება, საბჭოთა კავშირის იმპერიის მძიმე იდეოლოგიური წნეხის —პრესის მიუხედავად, ქართული მხატვრული კინოხელოვნება, ადამიანის სულიერ ღირებულებებს, სამყაროს მუდმივ, წარუვალ ფასეულობებს, სიკეთის მრწამსს ემსახურებოდა და ემსახურება, ეკრანზე ამკვიდრებდა და ამკვიდრებს, პატრიოტიზმს, ზოგადსაკაცობრიო სულისკვეთებას, რაც **ესოდენ იზიდავდა და დღესაც იზიდავს მსოფლიო პროგრესული კინოხელოვნების მესვეურთ, რომელთაც ხიბლავდა და კვლავაც ხიბლავს ქართული ეროვნული კინოს მხატვრული, ესთეტიკური თვითმყოფადობა.**

კადრი ფილმიდან — „ისინი"

კორ.: — ამჯერად, ვფიქრობ, განსაკუთრებით აღსანიშნავია კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორიც, კერძოდ ის, რომ, წინა წლებისაგან განსხვავებით, „კანი-92"-ის საიუბილეო მსოფლიო კინოფესტივალზე, საქართველოს რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ჩვენი ეროვნული დროშით წარსდგა. ამგვარად, რეჟისორ ლევან ზაქარეიშვილის ფილმი „ისინი" პირველად კანის საერთაშორისო ფესტივალზე წარსდგა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს კინონაწარმოები.

რ. ჩხეიძე: — რაც ჩვენი ქვეყნის, ქართველი ხალხის საერთო კულტურის, კინოხელოვნების დარგის აღიარების, მისი სუვერენიტეტის, ავტონომიის მაუწყებელია, და რაც მე, ჩემი ქვეყნის მოქალაქესა და კინორეჟისორს, ერთობ დიდი სიამაყის გრძნობას მმატებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამას წინათ საქართველოში იმყოფებოდა საფრანგეთის ნაციონალური კინოცენტრის გენერალური დირექტორი, ბატონი დომინიკ ვალონი, რომელიც შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. სტუმარმა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს აღუთქვა, რომ ამიერიდან საფრანგეთის ნაციონალური კინოცენტრი, საქართველოს ეროვნულ კინოხელოვნებას, მის ზრდა-განვითარებას უფრო მეტ, მრავალმხრივ დახმარებას გაუწევს, მათი მჭიდრო პროფესიული ურთიერთკავშირი ურთიერთმომგებიანი იქნება ორივე მხარისათვის. ბატონ დომინიკს ასევე შეხვედრა ჰქონდა ქართველ კინემატოგრაფისტებთან, რის შედეგადაც მჭიდრო ურთიერთკავშირის კონკრეტული გზები დაისახა.

კანის 45-ე საიუბილეო მსოფლიო კინოფესტივალის დღეებში, ბატონი დომინიკ ვალონი შეხვდა მსოფლიოს კინოხელოვნების პროდიუსერებს, ორგანიზატორებს, მათ შორის გახლდით მეც, — ქართული კინოს წარმომადგენელიც.

ბატონი დომინიკი დაგვპირდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული კინოხელოვნება, ახლო მომავალში, ევროპის ქვეყნების კინოასოციაციაში გაწევრიანდება, რაც საშუალებას მოგვცემს მსოფლიო პროგრესული კინოხელოვნების შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩავებათ, რაც, თავის მხრივ, უთუო ზეგავლენას მოახდენს ორ ქვეყანას შორის ახალი კულტურული, სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ნაციონალური ხიდების მშენებლობაზე, მეტად საჭირო ურთიერთობის დამყარებაზე.

კორ.: — საერთოდ, კანის კინოფესტივალმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე?!

რ. ჩხეიძე: — მე, მართალია, რომ მომენდომებინა კიდეც, ყველა ფილმის ნახვა — გააზრებას ვერ მოვახერხებდი. რაც ვნახე, ფესტივალზე შექმნილი საერთო აზრით, კინოკრიტიკოსთა, ჟურნალისტთა, სპეციალისტთა მტკიცებით, ისევე, როგორც თანამედროვე სამყაროს ცხოვრების ყველა სფეროში, ამჯერადაც აშკარა იყო ამერიკული კინოხელოვნების მოზღვავება.

კორ.: — ევროპის ქვეყნების კინოპოტენციალზე რას იტყოდით?

რ. ჩხეიძე: — ევროპის წამყვანი კინოქვეყნების პოტენციური შესაძლებლობები, გარკვეული კრიზისის მიუხედავად, კვლავინდებურად მაღალი და პრესტიჟულია. 78 წლის ინგმარ ბერგმანი, მართალია ფილმების გადაღებას აღარ აპირებს (იმედია დროებით), მაგრამ ამჯერად სცენარის ავტორად წარმოსდგა, რის მიხედვითაც დანიელმა კინორეჟისორმა ბილ აუგუსტმა, რომელმაც 1988 წელს ფილმისათვის „პელე-დამპყრობელმა" კანში მთავარი პრიზი დაიმსახურა, ამჯერადაც ბილ აუგუსტის ფილმმა „კეთილი ზრახვები", კანის ფესტივალის მთავარი ჯილდო, „დაფნის ოქროს რტო" დაისაკუთრა. ესეც თქვენი ევროპა, და არა ამერიკა! სიტყვამ მოიტანა და, ქალის საუკეთესო როლისათვის პრიზი მიიღო რეჟისორ ბილი აუგუსტის მეუღლემ, ცნობილმა შვედმა მსახიობმა, ფილმ „კეთილ ზრახვებში" მთავარი როლის შემსრულებელმა პერნილე აუგუსტმა. საერთოდ, ამ რეჟისორს, — ბილ აუგუსტს, კინოკრიტიკოსები, შვედი დიდოსტატის ინგმარ ბერგმანის სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევენ.

კორ.: — ეს ყველაფერი საინტერესო მოსასმენია. ახლა კი ისევ „ქართულ ფილმს" დავუბრუნდეთ, მოკლედ, ორიოდე სიტყვით ქართველ საზოგადოებას სათქმელი მოვახსენოთ, — ევროპის, მსოფლიოს კინოპროცესში ჩვენი პოზიციების გამაგრებას რა გზით, საშუალებებით, რა ძალებით, როგორ ვაპირებთ?!

რ. ჩხეიძე: — ამჟამად „ქართულ ფილმში", ქართულ კინოხელოვნებაში საერთოდ, ბაზისური სტრუქტურების, შემოქმედებითი პროცესების ახლებურად გააზრების, ჩამოყალიბების, მისი ორგანიზაციის, წარმართვის გამალებული ძიება მიმდინარეობს. ბევრი საკითხის მრავალჯერ გაზომვა, ერთხელ „გადაჭრა" მოგვიწევს. შარშანდელი წელი, რომელიც ქართული კინოსათვის ნგრევის წელი იყო, — უნდა დავივიწყოთ, ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპებზე ავაგოთ ქართული კინოს ორგანიზაციული საფუძვლები, სტრუქტურები.

ჩვენ ვივლით პიროვნების, შემოქმედის სულიერი თავისუფლების გზით, ხელოვნების ავტონომიის გზით. ასევე მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაივიწყოს თავისი მეცენატური როლი კულტურის, ხელოვნების მიმართ; მიუხედავად რესპუბლიკაში შექმნილი საერთო ურთულესი ეკონომიკური ვითარებისა, წელს ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე პრაქტიკულად გამოხატა თავისი დამოკიდებულება კულტურის დარგების, მათ შორის ქართული კინემატოგრაფიის მიმართ მისი დაფინანსებით. მე ღრმად მწამს ქართული კინოს დაუშრეტელი პოტენციალისა. ამის საწინდარია ნიჭიერი, მაღალპროფესიული თაობის მთელი წყება, რომელიც უწყვეტ ნაკადად მოედინება ჩვენს სინამდვილეში. უნდა მოვახდინოთ წარმოების საშუალებების სრული მოდერნიზაცია. ასევე უნდა მივაღწიოთ შემოქმედებითი, სულიერი ძალების განთავისუფლებას ფსიქოლოგიური წნეხისაგან, ძველი ბორკილებისაგან, აი მაშინ...

კორ.: — თქვენ მიგაჩნიათ, რომ ძველი ბორკილებისაგან, ფსიქოლოგიური წნეხისაგან, შინაგანი ცენზურისაგან განთავისუფლება ასე იოლია?

რ. ჩხეიძე: — რა თქმა უნდა, იოლი არ არის, მაგრამ შესაძლებელია, მე ამაში ოდნავადაც ეჭვი არ მეპარება.

კორ.: — როგორ? რა გზებით? რა ვადებში?

რ. ჩხეიძე: — ეს ძალიან რთული, ხანგრძლივი პროცესია. მოდით, ამაზე შემდგომში ვისაუბროთ...

ესაუბრა
**ავთანდილ გველესიანი.**

# „მთელ ქვეყანას უყვარხარ“

## ყველას თავის აზრი აქვს

**ლევან სანიკიძე.**

ჩვენ სად უნდა ვეძიოთ?
ი. გ.

გორის ციხის ახლოს მდგარი
ჭადარს ეტყვის ჭადარი:
აქ რომ ბიჭი თამაშობდა,
ნეტავ ახლა სად არი?!
მ. მ.

ეს ხომ სტალინია!

სტალინი?!

რა დროს სტალინია, ქვეყანა თავზე გვექცევა! — ალბათ, შეიცხადებენ ორივე მხრიდან: არა მხოლოდ „ანტისტალინელები“, არამედ თვით უკიდურესი „სტალინელებიც“ კი, და იქნებ მართალნიც იყვნენ, რამდენადაც ჩვენ ყველანი, ვინც კი ერთმანეთის ხელით სიკვდილს ჯერ კიდევ გადავრჩენილვართ, ვხედავთ, რა დღეშიცაა საქართველო, — როგორ მოუცავს იგი საშინელ და სამარცხვინო, ბილწი პატივმოყვარეობით ნაკვებ-ნასუქალ **ფრონდას** — ფრანგულისგან „გაუმჯობესებულ“, ნამდვილ ქართულ, მაშასადამე „კლასიკურ ფრონდას“ („კლასიკურობა“ ხომ ენდოგენურ ჯიშად მოსდგამთ ქართველებს!) — სამშობლოს ძარცვა, რბევა, სისხლის ღვრა და გაუპატიურება — ყოველივე საკუთარი უძღები „მეს“ ძღომისათვის... „სარგებლისა მოწადინეთათვის“...

და ისევ სტალინი?!

დიახ, სწორედ რომ ისევ, რამეთუ „ისევ“, ამ შემთხვევაში, უდრის **მარადისობას.** სწორედ ასეა — მიუხედავად მისადმი ცალკეულთა თუ ჯგუფეულთა სიძულვილისა, ან სიყვარულისა, სტალინი სწორედ მარადისობაა სამყაროში ყოველი მოვლენის თუ გარდავლენის უზენაესი მსაჯულისთვის — მისი უმაღლესობა ისტორიისთვის. ჭეშმარიტი ისტორიის სამკვიდრებელში სტალინის **მარადიულ სიდიდეს** ვერც უნიადაგო წყევლა-ძაგება დააკლებს და ვერც წრეგადასული ხოტბა-დიდება შემატებს რამეს.

ეს წერილი 9 მაისს იწერება, მისგანვე წოდებული „დიდი სამამულოს“ დასასრულის დღეს, ანუ მეორე მსოფლიო ომის 47-ე წლის მიწურულს... მსოფლიო ომი კი, სწორედ სტალინმა მოიგოო, — დაბეჯითებით და განუხრელად ამტკიცებს ამას თვითონ მსოფლიო, დიახ თვითონ-მეთქი, სრულიად ადამეთი, მიუხედავად უამრავ მწერ-ავთა თუ მწერ-კეთილთა კალმის გულისგამაწყალებელი წრიპინისა.

სრულიად ადამეთი არც იმის გამო იბერტყავს ყურს, რომ მისი გადარჩენისთვის (მსოფლიოს გადარჩენისთვის!) სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ამ **მთავარ გმირს** — ამ რაღაცნაირ, „ზეციით მონბერ“ მონოანთროპოსს, თანაც ეროვნული წარმომავლობით **ქართველს** (!), თურმე, თვითონ მისი მშობელი საქართველოსთვის საქმით არამცთუ არაფერი არ გაუკეთებია, არამედ საქმითვე ვნებაც ბევრჯერ მიუყენებია და მიუბედნიერებია!

დიახ, მისი აღმატებულება ისტორიისთვის აღმატებული და უმთავრესი უფრო ის ყოფილა, რომ ის საოცარი ლუციფერი — ერთდროულად „მანათობელი ვარსკვლავიც და სისხლიანი კაციჭამიაც“ (ესაია, 14,12) — ერთი ვინმე პროვინციელი ქართველი დედაკაცის კვერცხიდან მთელი მსოფლიოს ბედისწერად გამოჩეკილა და არა ოდენ „ერთწერტილოვანდ“ საქართველოსთვის.

ისტორიისთვის — „უფალი ღმერთის იდუმალი სახელოსნოსთვის“ (გოეთე) — მთავარი ის არის, რომ სტალინის „კრატია“ („ძალაუფლება“), „არქია“ („მმართველობა“), თუ „ფაგია“ („მუსლაპველობა“) სწორედ „კოსმიური“ („სამყაროული“) მოვლენა იყო და არა ოდენ, სადმე, მიკრო-ლოკალური. ანუ, სტალინიზმი მოვლინება უფრო ზენასოფლური „შესაქმეა“, ვიდრე ჩვეულებრივად „კაცის გაჩენა“.

მთავარიც სწორედ არის უნარი და ძალმოსილება („პოტენცია“) **სიდიდის** ქმნადობისა, გენეზისისა, „აღმოშობისა“ (ილია ჭავჭავაძე). სტალინიც — ეს კოსმოკრატი თუ კოსმოფაგი — აკი ქართული ჯიშით და თესლით (გინა „გენეტიკური კოდით“) მოევლინა მსოფლიოს — მხოლოდ ქართულით-მეთქი, და სულ ერთია, „რანაირი ქართველის“ ძე იყო იგი — აზნაურისა თუ უაზნოსი, პატრიციუსისა თუ პლებეისა, ლოთი მეწაღისა თუ უფრო „მოკულტურო“ ობივატელისა, ნაყოფი კანონიერი ქორწინებისა თუ აკრძალული ტრფიალებისა. მთავარი **იყო**, რომ ქართველი **იყო** და სანამ **იყო**, მსოფლიო „ცენტრიც“ მასთანვე **იყო!!!**

მისი ოცდაათწლოვანი ხელმწიფობის თანამედროვე უცხოელი პარტნიორები და მეტოქენი, თვითონაც დიდი პოლიტიკოსნი, დათრგუნვილნი თუ მოხიბლულნი, შერიგებოდნენ ამ „უცნაური აზიელის“ მთელს მსოფლიოში პრინცეპსობას, და ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ — არა მხოლოდ ე. წ. **საბჭოთა** იმპერია, არამედ სრულიად მსოფლიო, ეს ბებერი ოიკუმენე, გამხდარიყო ყოვლისმომცველად პანსტალინური. შერიგებოდნენ, რომ თვითონ ისინი მხოლოდ ანტურაჟი იყვნენ ამ მსოფლიო პოლიტიკის „სოლისტის“ გარშემო, მის რაღაცნაირ „მაგნიტურ არეალში“.

მარტო ჩერჩილის მოსმენა რად ჰღირს — დაუმადლებლად გენიალური ჩერჩილისა, რომელიც სტალინს, თავისუფალი კაპიტალისტური სამყაროსათვის მართლაც სატანურ საფრთხეს, შუა ევროპაში მსოფლიოსთვის „რკინის ფარდის“ გამშლელ და აღმმართველს (სხვათა შორის: საისტორიო ბეჭდწერა თურმე იმასაც ამხელდა, რომ ქართველისგან აღმართული ის „რკინის ფარდა“ ნახევარ საუკუნეში ქართველის ხელითვე უნდა დანგრეულიყო!) — აწ უკვე განსვენებულს მაინც ასეთი შეფასებანი აახლა და გააყოლა სულეთის გზაზე: „გენიოსი“, „სწორუპოვარი მხედართმთავარი“, კაცი „არაჩვეულებრივი ენერგიით, ერუდიციით, შეუდრეკელი ნებისყოფით, იუმორისა და სარკაზმის დიდი გრძნობით“, „უზარმაზარი აზროვრივი ძალმოსილების თხზულებათა ავტორი“, „ყველა დროისა და ხალხის სახელმწიფო ხელმძღვანელთა შორის განუმეორებელი და შეუდარებელი“, „უდიდესად შთამბეჭდავი“, „ღრმა, ლოგიკური სიბრძნით“, „შეუდარებელი ოსტატი უმძიმესი, გამოუვალი წუთებიდან თავის დახსნის გზათა მოძიება-მონახვისა“, „უთქმელ აზრთა ამომცნობი“; და, ბოლოს, დასკვნა:

„არა! მასზე რაც უნდა ილაპარაკონ, ასეთებს ისტორია და ხალხი არასოდეს არ დაივიწყებენ!“

დიახ, და სიბრიყვეც იქნება, ასეთ თვალნათლივ ჭეშმარიტებას არ დაეთანხმო!

მით უფრო, ჩვენ, „ქართუელნი, უცხოთმოყვარენი“ (ვახუშტი ბაგრატიონი), „გარდარეულად“ მოყვარენი — უცხოელს და თანაც ჩერჩილს არ დავეთანხმოთ?!

დიახ, დავეთანხმოთ ამ „ყველაზე დიდ შემფასებელს“ და ჩვენი მხრივ გავიხსენოთ, რომ სტალინი, ეს „მარად დაუვიწყარი“ პანსიდიდე, გინა „თავზარდამცემი გენია“ (შატობრიანი რომ უწოდებს პასკალს), უწინარესად მაინც ქართული გვარ-ჯილაგია და მისი საწუთისოფლო ცხოვრება, ღვაწლი და თავგადასავალი, მაინცდამაინც, საქართველოს ისტორიის სისხლხორცეული ნაწილი და კუთვნილებაა. ბოლოს და ბოლოს, მივხვდეთ, რომ საქართველოს ახალი და უახლოესი დროის, აქამდე გახეიბრებული ისტორია ყველა ამჟამინდელი ქართველი ისტორიული პერსონაჟის რეალური ცხოვრებით უნდა შეივსოს, მიუხედავად იმისა, მათგან ვინ ემოყვრებოდა და ვინ ემტერებოდა მისსავე მშობელ ქვეყანას. ისტორიის მოვალეობაც ხომ სწორედ ესაა — მტერი მტრად მოიხსენიოს და მოყვარე მოყვრად, ოღონდ უეჭველ მოიხსენიოს, უეჭველმეთქი, ყოველივე მხოლოდ სიმართლით, მხოლოდ — „გარეშე გარისხებისა და მიკერძოებისა“ (sine ira et studio). ერთნაირი სიმართლით — ილია ჭავჭავაძეც და ფილიპე მახარაძეც, ქაქუცა ჩოლოყაშვილიც და სერგო ორჯონიკიძეც. გამოტოვება და არაფრის თქმა — რაკი მე არ მომწონსო — ნურას უკაცრავად, ნამდვილი ისტორიისათვის!

ახლა — „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“, და ვინ დათვალოს სტალინის მეხოტბენი — გინდა მსოფლიოში, გინდა ცალკე იმპერია „სსრკ“-ში და გინდა თვითონ მარტო საქართველოში!

იყო თემა ესე „სტალინური“ სახოტბოდ დაულევნელი და ითქმოდა და იწერებოდა აპოლოგიები დაულევნელად, **მეჯატონობით.** ჩვენ მარტო ერთი ჩერჩილი დავასახელეთ, მისი სიდიდის და პოზიციისთვის — თვითონ გენიალური და დაუძინებლად ანტისტალინელი — თორემ „ვინ დათვალოს“-მეთქი, ან ვინ, რომელი ზედმეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი კალმოსანი, მეცნიერი თუ მწერალი გამოერჩა და გამოეხსლიტა იმ საყოველთაო, სრულიად **მსოფლიო გრაფომანიას** (საუკეთესო გაზრებით ვამბობ), სტალინის გარშემო რომ გაეჩაღებინა სწორედ მსოფლიოს, სრულიად ადამეთს?!

და ეს იყო სრულიად ბუნებრივი, სრულიად ლოგიკური, რადგან სტალინი იყო მართლაც დიდი, მართლაც „მსოფლიო“, თუ „კოსმიური“, საკვირველად გამორჩეული მონოანთროპოს, თუ ანთროპოდაიმონ. ამიტომ „თემა სტალინური“, სავსებით ბუნებრივად, იყო მსოფლიოსთვის „პანსტალინური“.

ახლა, მსოფლიოს მოვეშვათ და მხოლოდ საქართველოში მოვიძიოთ თუნდაც ერთი, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და აღიარებული (არა „თვითაღიარებული“, თუ „თვითაღერებული“, თუ „თვითამღერებული“) კალმის ოსტატი, რომელიც სტალინის თუ სტალინიზმის ფენომენით არ დაინტერესებულიყოს, და მის საკვირველად თუ სადიდებლად საწერანი არ დაეხარჯოს. აი, თუნდაც, ჩვენი, ყოველი ჭეშმარიტი ქართველისთვის სათაყვანო და სალოცავი ივანე ჯავახიშვილი, ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის პატრიარქი და მატიანური სინდისის სჯულმდებელი, რაც მთავარია — ყოველი ისტორიული მოღვაწის პიროვნულ შეფასებაში უმკაცრესად („მკაცრად“ არ კმარა) ძუნწი და თავშეკავებული — რა ინტერესით და გატაცებით იკვლევს იგი „დიდი სტალინის“ (!) გვაროვნულ ფესვებს, ჯუღაშვილობის წინაპრულ გენეალოგიას, — რომ, თურმე, ეს გვარი კახეთში, ქიზიყში დაწყებულა და... თუმცა თვითონ მეცნიერს მოვუსმინოთ, თუნდაც მისმიერი მაღალი აკადემიზმით წარმოებული კვლევა-ძიების დასკვნის წაკითხვა ვიკმაროთ:

„...მაშასადამე, ყველა ზემოაღნიშნული და მოყვანილი ცნობებისა და მოსაზრებათა მიხედვით, უფლება გვაქვს საბოლოოდ დავასკვნათ, რომ ხალხთა ბელადის დიდი სტალინის გვარის წინაპრების ჯუღაშვილების თავდაპირველი სამშობლო ს. ჯუგაანი უნდა ყოფილიყო. უკვე მე-18 ს. დამდეგს რამდენიმე კომლი მათგანი თავიანთ სამშობლო სოფლითგან გადასულა ზოგი ს. მარტყოფში, ზოგი ს. მარილისში. მე-19 ს. დამდეგისათვის მარილისში დასახლებულთაგანი სამი მეკომური უკვე ს. მატანში ყოფილა, მათ შორის ის ჯუგაშვილი ბეროც, რომლისაგანც უნდა წარმომდგარი იყოს ჯუგაშვილი ბეროშვილებად წოდებული ხალხთა ბელადის უშუალო წინაპარი შტო ი. ჯავახიშვილი. 1939.14.XII“ (იხ. პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 14, საქ. 147).

კომენტარები არც საჭიროა და არც საკადრებელი. ოღონდ, მაინც „დამატებით“ — უკეთუ სტალინზე, ანუ ამ „ქიზიყელ ჯუგაშვილზე“ რაიმე საკრიტიკო და საძაგ-საგმობელი უნდა თქმულიყო და დაწერილიყო, ვის ჰქონდა ამის მეცნიერული და სინდისებრივი უფლება თვინიერ და უწინარეს ივანე ჯავახიშვილისა?! არავის! ხოლო, იმ სულკურთხეულის უმწიკვლო კალამს მსგავსი რამ „ანტისტალინური“ არარა დასცდენია, არამედ მხოლოდ ეს ძუნწი და ყოვლისმთქმელი ეპითეტი — „დიდი სტალინი“! შემორჩა მისგანვე. გაპატიოსნებულ ქართულ საისტორიო აზროვნებას.

ვინ არ იცის, რომ სტალინი, როგორც კერძო კაცი, გასაოცრად მოკრძალებული, პურიტანული ცხოვრებით ცხოვრობდა — იმდენად მოკრძალებულიც, რომ უკვე კუბოში მწოლარეც კი ლამის უხმლოდ, ფეხშიშველად გასდგომოდეს სულეთის გზას. მაგრამ მაინც ვინ ამტკიცებს, ან რატომ უნდა ამტკიცო, რომ სტალინი იყო უცოდველი კრავი? პირიქით, მისთვის არაფერი ადამიანური სისუსტე უცხო არ იყო —იყო დიახაც მიზანთროპი, დიახაც შურისმგებელი, დიახაც სასტიკი, დიახაც უწყალო, დიახაც...

და მრავალი „დიახაც“... მაგრამ ვინ ყოფილა ოდესმე თუნდაც ერთი ადამის ძე ადამეთისა, რომელმან არა სცოდა?! ადამიანი ადამიანია და ყოველი შეცოდება და შეცდომა ადამიანური არს (errare humanum est).

და ყოველი ადამიანიც — ცთომილიცა და უცთომელიც — არის შვილი სიკვდილისა, ყველას ერთნაირად ეწვევა იგი — კრონოსის მგელი, ყველა ერთნაირი გარდუვალობით „შეიკვრის წებოისაგან სიკვდილისა“ (წმ. ავგუსტინე).

და ყველას ერთნაირად სჭირდება და **ეკუთვნის** (!) ჭირისუფალი).

თუნდაც ყოველი ძე შეცთომილი, გინა „შვილი უძღები“ მაინც მუდმივად საზრუნავ-საურავი და **საწუხარ-საგლოველია** მისი მშობლისთვის. ქართული დედამიწაც — სწორედ დედა! — ერთნაირი სითბოთი, დიდსულოვნებით და შემწყნარებლობით იკრავს და ინახავს („იმიწებს“) თავის წიაღში შვილსა ყოველსა — კეთილსაც და ბოროტსაც, უცთომელსაც და ცთომილსაც, პატრიოტსაც და რენეგატსაც, მამულისათვის თავდადებულსაც და მამულისაგან ლაჩრულად გაქცეულსაც. მშობელ მიწისთვის, ერთნაირად — შვილი შვილია, — მით უფრო შვილი, თავის სიდიდით დედამიწას რომ აბარბაცებდა“! (ტიციან ტაბიძე).

და, აჰა, მივადექით ამ წერილის მთავარ სათქმელსაც:

**გადმოვასვენოთ სოსო ჯუღაშვილი მოსკოვიდან გორში, ანუ — უცხოეთიდან თავის სამშობლოში!**

ნუ დაგვაფრთხობს და დაგვზაფრავს ასე ჯიქურად წამოსროლილი „მოწოდება“. გული დავიცხროთ, სული ავიმაღლოთ, აღვიჭურვოთ დიდსულოვნებით, ვიყოთ დასტურ ქრისტიანები, ქრისტიანები-მეთქი! — და ვუშველოთ მიცვალებულს, ჩვენს მიცვალებულს, რომელსაც დღე-დღეზე მოთხრა, გადაგდება, თუ გადატკეპნა ელოდება.

ე. წ. „სოციალისტურ სამოთხეთა“ ნგრევას მათი სანიშანსვეტო საფლავების ნგრევაც მოჰყვება. უკვე, აშკარაად თუ იდუმალ, მოთხრილი და „გადასაფლავებულია“ საფლავები აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტ-ლიდერებისა, რომლებიც თავისი „მიკრო-ლიდერობით“, სტალინთან შედარებით, კვერცხიდანაც რომ ძლივს გამოწიოდნენ. რაც მთავარია, სულ მალე დაინგრევა მოსკოვის კრემლის კედელქვეშა საფლავებიც და კედელშიდა საფერფლეებიც.

ცნობილი ნოდარ დუმბაძის „ნაქვესი“ გამახსენდა: ერთხელ, მოსკოვში, როცა ერთი დიდი პარტიული ფუნქციონერის ფერფლს კრემლის კედელში ასვენებდნენ, იქ დამსწრე ნოდარს უთქვამს: ვაჲ, ძამა, ამ კედელს აგურს რომ აძრობენ და მის ადგილზე ფერფლს ტენიან, კედელიც ხომ წაიქცევა და სანამ ეს მომხდარა და ჩვენთვის, ქართველებისთვის დაუმჭრალებიათ, ქედან მოვკურცხლოთ და გავასწროთო.

და ეს მწარე ხუმრობა უკვე მწარე სინამდვილედ იქცევა: დღე-დღეზე კრემლის ნეკროპოლისი აღიგვება ძვალიან-ფერფლიანად. მალე, სულ მალე აღარ იქნება — „საფლავი ლენინისა — აკვანი კაცობრიობისა“. მაგრამ მაინც ამ ჯიშობრივად „ეკლექტიკურ“ სუბიექტს, ლენინ-ულიანოვს (ულიანოვი არ შემშლია) ჭირისუფლად ან ულან-მონღოლი გამოუჩნდება, ან ბლანკ-ებრაელი, ან ივან-რუსი. სტალინს კი ჩვენს მეტი პატრონი და ჭირისუფალი არავინა ჰყავს — ან სხვა ვინმე რად უნდა ჰყავდეს, — და, მოდით, ნუ მოვუშლით დიდსულოვნურ-ქრისტიანულ ჭირისუფლობას, ნუ დავყრით მის ნეშთს უცხოური, გოგ-მაგოგური ქილყვავის საძიძგნად.

რაკი ისევ „უცხოური“ ვახსენეთ, ესეც ვთქვათ ბოლომდე: რუსეთი უკვე რუსეთია და არა ყველა ერისთვის ერთნაირად „მშობლიური სსრკ“, და ამდენად იგი „საზღვარგარეთად“, ანუ „უცხოეთად“ შემოდის ჩვენს ცნობიერებაში. მოსკოვი ახლა ქართველთათვის გაცილებით „უცხოეთია“, ვიდრე ტრაპიზონი! დიახ, — ისტორიულადაც ხომ მოსკოვი უცხოეთი იყო ქართველობისთვის, ტრაპიზონი კი ქართული, ანუ „სოფელი მეგრელთა“ (იხ. „ქართლის ცხოვრება“ 1, გვ. 39) — უწყვეტ-ისტორიულად საქართველო!

ამიტომაც, მარტო „სასურველი“ კი არა, სამართლებრივადაც და ზნეობრივადაც ვალდებული ვართ გადმოვასვენოთ ჯუღაშვილი მის სამშობლოში, ჯერ იგი, სასწრაფოდ, და მერე, მის მოყოლებით — ვახტანგ მეექვსეც, თეიმურაზ მეორეც, დავით გურამიშვილიც, სოლომონ დოდაშვილიც.. სხვანი და სხვანი... და, მერწმუნეთ, ეს უფრო მართებული და ზნეობრივი იქნება, ვიდრე სოლომონ მეორის გადმოსვენება ტრაპიზონიდან გელათში, ანუ **საქართველოდან საქართველოში!** (ვინძლო, იმხანის, ოშკისა და ბანას ტაძრების „გადმოსვენებაც“ არავინ აიჩემოს საქართველოდან საქართველოში!).

მოვეშვათ გოგს, ქართველებო, ქრისტიანებო, ფეხის ხმიდან გონების ხმისკენ ავინაცვლოთ და დავიხსნათ თავი კიდევ ერთი „საღვთოი და საკაცობო“ ცოდვისაგან. ჩამოვასვენოთ კაცი დიადი, რომელიც დაიბადა ქართველად, ენა ამოიდგა ქართულად და მის შემდგომ სიკვდილამდე ქართული იყო მისი მეტყველებაც (მაშინაც, როცა რუსულად მეტყველებდა!), ქართული ჰქონდა ფიქრმეტყველებაც, ქართული ჰქონდა სიზმართმეტყველებაც. მისი სულის „შემდედებელი დვრიტა“ (ილია) იყო მარადიული ფიქრი შოთა რუსთაველზე და ილია ჭავჭავაძეზე.

ქართული საფლავი ვაღირსოთ სწორედ დიდი ილია ჭავჭავაძისგან ხელდასხმულ და ნაკურთხ ქართველ პოეტს, რომელმაც საქართველოს უძღვნა [illegible] — უკვდავი ლექსი, მარადიულად ქართულ ახალნერგ თაობათა საალმზრდელო ჰიმნი — „დილა“.

ქართული მიწა ვაღირსოთ უდიდეს ქართველ მოაზროვნეს, მრავალდარგოვან მეცნიერსა და თეორეტიკოსს, სწორუპოვარ მხედართმთავარსა და „ყოველ დროთა და ხალხთა“ ხელმწიფეთა ხელმწიფეს. გადმოვასვენოთ მსოფლიოო გმირი, რომელიც სიკვდილის ზარის დარისხებისას, კურდღელივით თავშესაფრის საძიებლად არ გაქცეულა — არც კუიბიშევში, არც პარიზში და არც... გროზნოში... ქვეყანას დასჭირდა და მის სამსხვერპლოზე საკუთარი ღვიძლი შვილიც რომ გაიმეტა!

გადმოვასვენოთ ქართველი სფინქსი, მარადიულად ბოლომდე შეუცნობელი გამოცანა ჩვეულებრივი ადამიანური სამყაროსათვის.

კაცი, მსოფლიოსთვის საოცნებო, რომლის ნახმარი სავარძელიც კი, იქ, პოტსდამში, უწყვეტ ნაკადად მიწოლილმა ტურისტებმა ლამის ფრჩხილებით თუ კბილებით დაჭამეს, დაანაკუწეს და დაიტაცეს, — და ახლა, ვინძლო ჩვენც, ჩვენის დაუდევრობით, მისი ნასაფლავარი ნაშთებიც არ დავატაცებინოთ და „სუვენირებად“ დავაყიდვინოთ „ინოროდცებზე“ დამშეულ „ველიკორუსულ მესაფლავეებს“.

მაშ, ვიჩქაროთ და გადმოვასვენოთ ეს „კოსმიური ქართველი“— მთელი მსოფლიო რომ მისი წარბისა და ულვაშის ჩრდილში მოინუსხებოდა, მთელი მსოფლიოს საისტორიო რეკვიზიტიც რომ მის თითებში ჩაყინული „სტალინური ჩიბუხი“ იყო...

გადმოსვენება მისი იქნება მარად სახსოვარი პოლიტიკური და ზნეობრივი „შესაქმე“, ხოლო გორი — მშობელი აწ მისსავე წიაღში განწიაღებული მსოფლიო გმირისა, გადაიქცევა სწორედ მსოფლიოსთვის ახალ და მარადიულ სალოცავ-საპილიგრიმო ნიშანსვეტად.

ასე იქნება უკუნითი უკუნისამდე, რამეთუ **მსოფლიოს სტალინზე ფიქრი არ მოასვენებს უკუნითი უკუნისამდე.**

და ჩვენც **ნუ დავისვენებთ,** ვიდრე არ **გადმოვასვენებთ.**

მაშ, **გადმოვასვენოთ, დავასვენოთ და... დავისვენოთ.**

**თბილისი, 1992 წლის 9 მაისი.**

**ავტორის მინაწერი: ამ წერილს მკითხველ საზოგადოებაში ერთაზროვანი გამოხმაურება არ მოჰყვება. შეგიძლიათ დაგვეთანხმოთ ან არ დაგვეთანხმოთ, ოღონდ, გთხოვთ, განსაჯოთ გულწრფელად და გულდაწყნარებით; გაგულისება კი არ მიიღება — არც პირდაპირ „ხმალდახმალ“, არც მალული სატელეფონო „შხამიკატებით“. ვინ იცის, ვინმე სინეკურა-კარიერის მაძიებელმა (რომლებიც ახლა ძალზე მომრავლდა, „ეროვნული ფერისცვალებით“), ან „მეწარმე მემატიანემ“, ან რომელიმე მწერ-კავშირელმა მწერ-ავმაც „იმწვიტინოს გამწოებულმან“ (დავით გურამიშვილისგან: „რა რომ ის ეტკინა, გოგომ იმწვიტინა გამწოებულმან“), მაგრამ ღმერთმა ყველას შეუნდოს და თვითონვე შეარგოს „მწვიტანი აგი“. ისტორიას ინტრიგანთან არაფერი არ ესაქმება.**

# ინფორმაცია

## ქართული მიწა გლაზოვკაში

**ქერჩის მახლობლად, სოფელ გლაზოვკაში არის სასაფლაო, სადაც განისვენებს ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ მეომარი 1200 ქართველი ჭაბუკი.** გლაზოვკის მკვიდრმა პეტრე იაროსლავსკიმ ისინი უკრაინის მიწას მიაბარა.

13 ივნისს აღინიშნება ხსოვნის თარიღი. სწორედ ამ დღეს აქ გაიხსნება ბრძოლის ველიდან შინმოუსვლელთა მემორიალი. ჩვენმა თანამემამულეებმა — აჭარის თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოს ქერჩის საიჯარო საამქროს უფროსმა სერგო თავაძემ, ფეოდოსიაში ქართული სათვისტომოს „იბერიის“ თავმჯდომარემ გიორგი კოტრიკაძემ და თადარიგის მაიორმა ჯემალ ნინიძემ ყველაფერი გააკეთეს საქართველოს ღირსეულ შვილთა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ხსოვნის დღის გამო გლაზოვკაში სასაფლაოზე ჩაიტანენ საქართველოს მიწას, რომელსაც აკურთხებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

## „ჰოუპი“ იმედს ნიშნავს

**თბილისის აეროპორტში, ამერიკის პროგრამა „ჰოუპის“ შესაბამისად, რაც ქართულად იმედს ნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა ავიალაინერი, რომელმაც ჩამოიტანა რესპუბლიკისათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარება.**

**დემოკრატიისა და აღორძინების ფონდმა მიიღო ბავშვის საკვები, ქირურგიული მოწყობილობა, მედიკამენტები. ყოველივე ეს ფონდმა გადასცა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომელმაც დახმარება გაუნაწილა საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებს.**

სურათზე: მიმდინარეობს თვითმფრინავის განტვირთვა.
ვანო შამანაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

# მდგომარეობა აფხაზეთში და მისი ურთიერთობა საქართველოსთან

**11 ივნისს მოსკოვში ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში გაიმართა აფხაზეთის პარლამენტის ხელმძღვანელობის პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თემას: „მდგომარეობა აფხაზეთში და მისი ურთიერთობა საქართველოსთან“.**

აფხაზეთის ხელმძღვანელობას წარმოადგენდნენ ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო ფორუმის თავმჯდომარე, აფხაზეთის პარლამენტის სახალხო დეპუტატი სერგეი შამბა, სახალხო დეპუტატები ზურაბ აჩბა, იური ვორონოვი, ნელი ლაკობა.

აფხაზეთის მთავრობის რწმუნებული სერგეი შამბა შეეხო აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილ კონფლიქტს, დაახასიათა რეგიონში შექმნილი ვითარება, და ბრალად დასდო საქართველოს ახლანდელ ხელმძღვანელობას „ძველი პარტიულ-ადმინისტრაციული სტრუქტურების შენარჩუნება ეკონომიკასა და პოლიტიკაში აფხაზეთის მიმართ“.

როგორც ზურაბ აჩბამ თქვა, ერთ-ერთი მიზეზი კონფლიქტისა, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები, რუსები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, იყო აფხაზეთის რესპუბლიკაში ბიუჯეტის განაწილება, რის შედეგადაც მისი 80 პროცენტი საქართველოს რესპუბლიკას მიაქვს. გარდა ეკონომიკურისა, მან აღნიშნა ტერიტორიული უთანხმოებაც.

დეპუტატებმა ილაპარაკეს საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს „დიქტატორულ“ პოლიტიკაზე და აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში არ არსებობს აფხაზეთის მიმართ შემუშავებული პოზიცია, ხოლო აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობას წმინდა დეკლარაციული და პარადული ხასიათი აქვს, განუწყვეტლივ ირღვევა ამ ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 11, 67, 72, 93 მუხლები.

— წესრიგის დამყარების საშუალებას არ გვაძლევენ, პერსპექტივები ბუნდოვანია, — განაცხადა ზურაბ აჩბამ.

პრესკონფერენციის დამსწრე ოსეთის წარმომადგენელთა კითხვებს პოლიტიკის შესახებ, რომელსაც საქართველოს მთავრობა ადგას ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, პრესკონფერენციის მონაწილეებმა უპასუხეს, რომ ეს არის „მითიური შინაური თუ გარეშე მტრის წინააღმდეგ ხალხის გაერთიანების გზით სახელმწიფოს პრობლემების გადაწყვეტის ძველი მეთოდი“.

გამოითქვა უკმაყოფილება ისეთი ფაქტების გამო, როგორიც არის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული ეროვნული ბატალიონების ფორმირება, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს ფლოტის საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ აფხაზეთის ამბების ტენდენციური გაშუქება და სხვ.

**საქართველოს მოსკოვის წარმომადგენლობის პრესცენტრი.**

# სიტუაცია კრიზისულია

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ქართველმა დეპუტატებმა 11 ივნისს გამართულ სხდომაზე, რომელშიც საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, შექმნეს საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი“.**

ამ წარმომადგენლობით კრებაზე მოისმინეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამაზ ნადარეიშვილის ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო საბჭოში აფხაზეთის დეპუტაციის შეხვედრის შედეგების, რეგიონში უაღრესად გართულებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის პირველრიგისეული ამოცანების გადაწყვეტისადმი მიდგომის შესახებ.

ამ საკითხზე მოისმინეს აგრეთვე პარლამენტის კომისიის თავმჯდომარისა და დეპუტატთა ინფორმაციები. დემოკრატიულად განწყობილი ქართველი პარლამენტარები დაჰპირდნენ ამომრჩევლებს, რომ იმ რჩევებსა და სურვილებს, რომლებიც გაისმა კრებაზე, გააცნობდნენ თავიანთ ქართველ კოლეგებს. მათთან შეხვედრა კი დაგეგმილია ამ დღეებში, რათა ერთად გამონახონ გამოსავალი იმ კრიზისული სიტუაციიდან, რომელიც შექმნილია არა მარტო პარლამენტსა და მმართველობის სახელმწიფო სტრუქტურებში, არამედ მთელ რესპუბლიკაშიც, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკვე გამოუცხადა აფხაზეთის მთავრობას დაუმორჩილებლობა, ან აპირებს ამას.

კრებამ მიიღო მიმართვა აფხაზეთის მთელი მოსახლეობისადმი გააძლიერონ ბრძოლა სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის, დემოკრატიულ უფლებათა დაცვის, აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. მიიღეს აგრეთვე განცხადება, რომელიც შეიცავს პროტესტს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აფხაზეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრების რეზოლუციის გამოქვეყნების გამო, რაც „ქართული აგრესიის წინააღმდეგ“ საბრძოლველად საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების ტოლფასია. ყოველივე ამან აფეთქებასაშიში ვითარება შექმნა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

# „მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას“

**12 ივნისის გაზეთების „აფხაზეთის ხმის“ და „რესპუბლიკა აბხაზიას“ ნომერში დაბეჭდილია საზოგადოება „სოხუმის“ მიმართვა აფხაზეთის მთელი მოსახლეობისადმი.**

ძვირფასო თანამემამულენო, — ნათქვამია მიმართვაში, — აფხაზეთში მოვლენათა ანომალიურმა განვითარებამ მისი მოსახლეობა მიიყვანა იმ მიჯნამდე, როცა ნებისმიერ გაუფრთხილებელ ნაბიჯს, ჟესტს, მოუფიქრებლად თქმულ სიტყვას შეიძლება ყოვლად გაუმართლებელი, თვითმოსპობი, ძმათამკვლელი ომის გამომწვევი ჯაჭვური რეაქცია მოჰყვეს, რომელიც ვერავის ვერ მოაპოვებინებს ვერც გამარჯვებას, ვერც სიხარულს.

მოდით, მდუმარედ დავდგეთ წუთით ჩვენი წინაპრების საფლავებთან, რომლებიც საერთო სასაფლაოებზე ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგებულან ისევე, როგორც ერთად სძლევდნენ ისინი უმძიმეს განსაცდელს. ჩავუფიქრდეთ, რა მდგომარეობაში ვიქნებოდით ახლა, მათ შორის რომ გაჩენილიყო ეროვნებათაშორისი შუღლისა და მტრობის უფსკრული.

ჩვენ არა ვართ იდეალისტები და კარგად გვაქვს შეგნებული დღევანდელი სიტუაციის მთელი სირთულე, და მაინც მოვუწოდებთ აფხაზეთში მცხოვრები ყველა ხალხის წარმომადგენლებს — შევაჩეროთ თოფიანი კაცი, თავიდან ავიცილოთ გამოუსწორებელი უბედურება, მივუსხდეთ „მოლაპარაკების მაგიდას“ ჩვენს მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად საკუთარ სახლში, მეზობლებთან — ეზოში, ქუჩაში, და დარწმუნებული ვართ, ასეთი ნამდვილი „სახალხო კონფერენცია“ არ დაუშვებს შეტაკებას ჩვენს — სხვადასხვა ხალხების შვილებს შორის, რომლებიც ბედის ნებით ერთ მიწაზე ვშობილვართ.

ჩვენ მივმართავთ სახელმწიფო ხელმძღვანელებს და აფხაზეთის ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერებს მოწოდებით — შევიკრიბოთ ერთად და შევიმუშაოთ პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება რესპუბლიკაში შექმნილი საგანგებო ვითარების მშვიდობიანი დაძლევის გზების ძიებისაკენ.

საზოგადოება „სოხუმი“ მზად არის კისრად იდოს ასეთი დიდად პასუხსაგები კონფერენციის ორგანიზაციაში შუამავლის როლი.

●

**აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში 11 ივნისს გაიმართა ქართველ დეპუტატთა დამფუძნებელი, გაფართოებული სხდომა, რომელმაც გამოაცხადა თავისი ფრაქციის — „დემოკრატიული აფხაზეთის“ დაარსება. აღსანიშნავია, რომ ამ ფრაქციაში ქართველებს გარდა შევიდნენ რუსი, სომეხი და ყაბარდოელი დეპუტატები.**

**იოსებ გოგეჩია.**
„სრ“ საკ. კორ.

## უქმედ გამოცხადდა

**როგორც** რუსეთის უზენაესი საბჭოს იურიდიულმა განყოფილებამ განმარტა, სახალხო დეპუტატთა მე-4 ყრილობის 1991 წლის 24 მაისის დადგენილებით, 12 ივნისი — რუსეთის სფსრ სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციის მიღების დღე — უქმედ გამოცხადდა და ასე იქნება მომავალში.

## ყარაბაღზე შეტევისთვის ემზადებიან

**ამ** დღეებში აზერბაიჯანი დიდმასშტაბიან შეტევას იწყებს ყარაბაღში, განაცხადა ერევანში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე „დაშნაკცუტუნის“ რევოლუციური ფედერაციის პარტიის გამგეობის წევრმა ვაჰან ოვანესიანმა.

## სევასტოპოლი კიევს ექვემდებარება

**ყირიმის** რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოების ცნობის თანახმად, შეიქმნა ქალაქ სევასტოპოლის იუსტიციის სამმართველო, რომელიც უშუალოდ კიევს ექვემდებარება. ამრიგად, სევასტოპოლი ყირიმის რესპუბლიკის დაქვემდებარებიდან გამოვიდა.

## ადამიანის წარმოშობის ახალი თეორია

**თეორია,** თითქოს პირველი „გონიერი ადამიანი“ აფრიკაში გაჩენილიყოს, საეჭვო გახდა. ამის მიზეზია ორი თავის ქალა, რომლებიც ჩინეთის ხუბეის პროვინციის იუნსიანის მაზრის ცალციუმის საბადოებში იპოვეს.

იგი 350 ათასი წლისაა. ანთროპოლოგებმა — ჩინელმა ლი კიანიუანმა და ამერიკელმა დენის ედლერმა დაასკვნეს: მართალია, თავის ქალები პრიმიტიული ადამიანისა უნდა იყოს, მაგრამ სახის ნაკვთები თანამედროვე ადამიანისას ჰგავს. ედლერი დარწმუნებულია, რომ მსოფლიოს ვერც ერთი რაიონი ვერ დაიჩემებს, „გონიერი ადამიანის“ წარმოშობის ერთადერთი წყარო ვარო.

## სტომატოლოგიის სიახლე — მაგნიტური კბილები

**ტოკიოდან** იუწყებიან, რომ ერთ ფარმაცევტურ კომპანიას ხელოვნური კბილების დამაგრების ახალი სისტემა შეუმუშავებია.

ახლა კბილის პროთეზი, რომელიც ლითონს შეიცავს, ყბაში ჩანერგილ მაგნიტურ ფირფიტებზე დამაგრდება. როცა ჰკითხეს, მაგნიტური კბილები დანა-ჩანგალსაც ხომ არ მიიზიდავსო, ფირმის ხელმძღვანელმა განაცხადა, ეგ საკითხი მხედველობიდან არ გამოგვრჩენია და ტექნიკურად ასევე ბრწყინვალედ გადაწყდაო.

## როგორც ამბობენ

● **რადიოსადგური „ამერიკის ხმა“:** ამერიკის „ჰელსინკის“ ჯგუფმა შეისწავლა კანონმდებლობა, რომელიც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მოქალაქეობის უფლებას ეხება. ჯგუფის აზრით, მოქალაქეობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველას, ვინც ესტონეთსა და ლატვიაში იმ დროს ჩავიდა, როცა სსრ კავშირი ერთიანი სახელმწიფო იყო.

● **რადიო „თავისუფლება“:** დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ყოფილი საბჭოთა კავშირი კვლავ შეიძლება მტრული ძალა გახდეს, და ამიტომ უშიშროების საკითხებს კვლავინდებურად უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს.

● **რადიოსადგური „ბი-ბი-სი“:** არჩევნებში მოპოვებული წარმატების შემდეგ სლოვაკეთის პოლიტიკური პარტიები იმას მსჯელობენ, თუ რამდენად დაბეჯითებით უნდა ილაშქრონ მეტი პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. პრაღაში სხვადასხვაგვარ ვარაუდებს გამოთქვამენ იმის თაობაზე, თავიდან აიცილებს თუ არა ეს ქვეყანა კონსტიტუციურ ჩიხს და ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებს შორის განხეთქილებას.

# ამ ტრიალ ქვეყანაზე

სხვა გაზეთებიდან: „ტრუდი“

## სტუმრებმა მასპინძლებს ხელყუმბარა ესროლეს

**კალინინის სახელობის შახტის მუშებს ცვლა დაემთავრებინათ და ეზოში დომინოს თამაშობდნენ. მაგრამ დაწყებული ხელის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს: გაისმა გულის გამგმირავი ქალის კივილი. შველას ითხოვდა გოგონა, რომელსაც ორი სამხრეთელი ახალგაზრდა შეუჩნდა და გასაქანს არ აძლევდა.**

მეშახტეები ქალიშვილს გამოესარჩლნენ. პასუხად ერთ მათგანს თავში ხიშტის დანა ჩასცხეს. როდესაც კავკასიელებმა დაინახეს, რომ სამშველად სხვებიც გამორბოდნენ, მათ საბრძოლო ხელყუმბარა ესროლეს. აფეთქების შედეგად ყუმბარის ნამსხვრევებით რამდენიმე მეშახტე მძიმედ დაიჭრა, ერთი — დაიღუპა.

მილიციის მუშაკებმა დამნაშავენი დააკავეს. ესენი აღმოჩნდნენ ძმები ლომიძეები, რომელთა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი გაურკვეველია. მილიციამ მოქალაქეთა რისხვას გადაარჩინა ადგილობრივი ბაზრის სასტუმროში მცხოვრები სხვა კავკასიელები, რომლებსაც თვითნებური სამსჯავროს მოწყობას უპირებდნენ.

მომხდარი ამბით აღშფოთებულმა მეშახტეებმა ცვლების კრებაზე მიიღეს მიმართვები უკრაინის პრეზიდენტის დონეცკელი წარმომადგენლის ი. სმირნოვისადმი. ქალაქისა და ოლქის ხელმძღვანელობას წაუყენეს ულტიმატუმი დაუყოვნებლივ, 72 საათის განმავლობაში გაეძევებინათ დონბასიდან ყველა კავკასიელი, ვისაც მუდმივი ჩაწერა არ ექნებოდა. მოითხოვეს აგრეთვე აეკრძალონ კავკასიელებს ოლქის ტერიტორიაზე ჩამოსვლა, ცხოვრება და ვაჭრობა. ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ნათქვამია მიმართვაში, მეშახტეები იძულებული იქნებიან თავად დაამყარონ წესრიგი. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს დონეცკის საქალაქო საგაფიცვო კომიტეტმა, ოლქის მრავალმა შრომითმა კოლექტივებმა.

უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენელმა გამოსცა განკარგულება „დამნაშავეობის წინააღმდეგ, დონეცკის ოლქის მცხოვრებთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. განკარგულებაში ნათქვამია, რომ მნიშვნელოვნად გაუარესდა კრიმინოგენული ვითარება, რასაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ძაბავენ სხვა რეგიონებიდან, მათ შორის, ამიერკავკასიიდან ჩამოსული პირნი...

დონეცკის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოში გვაცნობეს, რომ ორი დღის მანძილზე სამართალდამცველი ორგანოების მუშაკებმა გამოავლინეს 365 კავკასიელი, რომლებიც უკანონოდ ცხოვრობდნენ სასტუმროებში, საერთო საცხოვრებლებში, სახელმწიფო და კერძო სექტორებში. ათ მათგანს პასპორტი არ ჰქონდა, 99 კი სამართალდამრღვევი აღმოჩნდა.

# იცოცხლე, ბებერო!

**ამა წლის 5-8 ივნისს რუსთაველის თეატრმა სტამბოლის მე-4 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე წარმოადგინა შექსპირის „მეფე ლირი" (რეჟისორი — რობერტ სტურუა). მსახიობთა შემადგენლობა ასეთი იყო: მეფე ლირი — გიორგი ხარაბაძე, გონერილი — თამარ ჭოხაძე, მასხარა — ზაზა პაპუაშვილი, ფრანგთა მეფე — დავით უფლისაშვილი, ბურგონის მთავარი — კარლო საკანდელიძე.**

**თურქეთის მიწაზე „მეფე ლირი" ხელახლა დაიბადა...**



## ინტერვიუ გიორგი ხარაბაძესთან

**— ვინც თქვენს შემოქმედებას იცნობს, დამეთანხმება, რომ ეს არის თავდადებული შრომა ხანგრძლივი პაუზებით. ამ სეზონში კი უცებ, ზედიზედ, სამი მეფე: ტიტუს ანდრონიკუსი, რომელსაც უკვე იცნობს მაყურებელი, ლირი და ბასილიო (კალდერონის პიესიდან „ცხოვრება სიზმარია"), რომელზეც ამჟამად გაცხოველებით მუშაობს თეატრი და რომლის პრემიერაც ესპანეთში უნდა შედგეს. რა ხდება? თანაც, ლირის სახე ერთ თვეში მომზადდა, პრემიერა უცხო მიწაზე ითამაშეთ. ეს ყველაფერი ერთგვარ რისკს ხომ არ უკავშირდებოდა?**

— რა თქმა უნდა, რისკი დიდი იყო, მაგრამ როგორც იტყვიან, ლაჩრები ომში არ მიდიან. ლირი 5 წლის წინათ უნდა მეთამაშა, მაგრამ გარემოებათა გამო მაშინ ეს არ მოხერხდა. ახლა არ ღირს ამაზე ლაპარაკი. მთავარი ის არის, რომ საამისოდ არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, როგორც ხდება ხოლმე, თეატრის ცხოვრებამ მოაცურა ეს როლი ჩემთან. და მეც შევედი ოკეანეში. გულზე ხელს ხომ არ დავიკრებდი. ისე, უნდა გამოგიტყდეთ, მთელი თვე არ მეძინა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ერთი-ორჯერ საშინელი უიმედობაც კი დამეუფლა, თუმცა გაქცევა არ მიფიქრია. ეს ჩემთვის სიკვდილს უდრიდა. კაცი, რომელსაც უცხოვრია ამ ქვეყანაზე, არანაირ მოვლენას არ ხვდება ხელცარიელი. განვლილი გზა, გამოცდილება, დამარცხების ტკივილია თუ გამარჯვების სიხარული, ერთად იყრის თავს და ახლა რომ მკითხონ, რამდენ ხანს ვიმუშავე ლირზე, ვუპასუხებ: ერთი თვე + სიცოცხლე.

**— სტამბოლის ფესტივალი იმითაც იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ დარბაზში შემთხვევითი ხალხი კი არა, თეატრალური ელიტა იჯდა. სტამბოლში მიმოფანტული ქართველებიც გვეწვივნენ და მღელვარებით შემოგვცქეროდნენ. თუმცა, მაყურებელთა დიდ უმრავლესობას ქართული არ ესმოდა, სპექტაკლის მსვლელობისას არაერთხელ დაუკრეს ტაში, ბოლოს კი ოვაციებთან ერთად დარბაზიდან გვიყვიროდნენ ქართულ და თურქულ ფრაზებს. არ ვიცი, გაიგონეთ თუ არა, ერთი ჭარმაგი კაცი გეძახდათ: „გაიხარე, იცოცხლე, ბებერო!" რას იტყვით იქაურ მაყურებელზე?**

— მე მიყვარან ისინი. როცა დარბაზი განაბულია, შენს რიტმში სუნთქავს, გენდობა, მოგყვება და თანაც ტაშით გამხნევებს, რა შეიძლება დაგემართოს? უცებ ისეთი საოცარი ტკბილი შვება დამეუფლა, თავზარი დამეცა — არ ავტირდე-მეთქი. მე შექსპირის ტექსტს — „ბუნება ყველაფერზე მაღლა დგას" — ამ შემთხვევას ასე შევუსატყვისებდი: „ხელოვნება ყველაფერზე მაღლა დგას". მას შეუძლია ადამიანთა გაერთიანება, უფრო მეტიც — შეუძლია მტერი მოყვარედ გიქციოს. ამიტომ, როცა ჩვენს აბობოქრებულ ცხოვრებაში ბევრისგან გესმის, რა დროს თეატრია, ჭერი თავზე გვემხობაო, მინდა, ყველას გასაგონად ვიყვირო: ქართველებო, ზურგს ნუ შეაქცევთ თეატრს, ეს დიდ უბედურებას მოგვიტანს. მოდით, გვნახეთ, მოგვიწონეთ ან დაგვიწუნეთ, ოღონდ, მოდით ჩვენთან!

**— თურქეთის შთაბეჭდილებებიდან რას გამოყოფდით?**

— იმ წამებს, როცა სტამბოლს — მსოფლიოს უძველეს და უდიდეს ქალაქს პირველად შევავლე თვალი. მერე ის ულამაზესი ქალივით სადღაც გაქრა. ოთხი დღე — რეპეტიციები, ორი სპექტაკლი და გზა სასტუმროდან თეატრამდე. ეს იყო და ეს. ასე რომ, გამომყვა სევდიანი მოგონება სტამბოლზე, რომელიც შემიყვარდა და ვერ გავიცანი. რაც შეეხება სარფს, არასოდეს ისეთი დათრგუნული არ ვყოფილვარ, როგორც მაშინ, როცა ჩემი თვალით ვნახე, რა ხდება იქ. გასაგებია, ძალიან გაჭირდა ცხოვრება, შიმშილობა დაიწყო, მაგრამ ხომ არსებობს ზღვარი, რომელსაც ადამიანმა არ უნდა გადააბიჯოს, რომ არ დაკარგოს საკუთარი თავი და, რაც მთავარია, არ შეურაცხყოს საკუთარი ქვეყანა.

და ბოლოს, მივუახლოვდი მთავარ სათქმელს: შთაბეჭდილება, რომელიც თურქეთიდან გამომყვა და არასოდეს დამავიწყდება, უკავშირდება ქართველ კაცს, ვისთანაც ოცდაათი წელი გავატარე. ეს რობერტ სტურუაა. ხშირად მიფიქრია, დრო მიდის, ადამიანები იცვლებიან, იცვლება ურთიერთობებიც. ამით ვხსნი მე იმ უცნაურ, შეუდარებელ საღამოს, როცა სპექტაკლის დაწყების წინ ჩვენთან, მსახიობებთან შემოვიდა რობიკო. ფეხზე ადექითო, გვითხრა. მერე სათქმელი სულ რაღაც სამ ოთხ ფრაზაში მოაქცია. ეს ფრაზები ეხებოდა ჩვენს სარწმუნოებას, სამშობლოს, ჩვენი ქვეყნისა და თურქეთის ისტორიულ წარსულს. ქართველები ერთად უნდა ვიყოთ, უფრო მეტად გვიყვარდეს ერთმანეთი, თქვა და გავიდა. მე რობიკო ასეთი არ მინახავს. გული ყელში მომებჯინა და სპექტაკლის დაწყების წინ ლამის შეურაცხად მდგომარეობაში ჩავვარდი. ძლივს დავიოკე ნერვები.

**— თქვენი ცხოვრების ასეთი შრომატევადი პერიოდი დაემთხვა სოლიდურ ასაკს. რას იტყოდით პოეტის სტრიქონზე: „ახლა უფრო დაფიქრების დროა, ჩადენილი შეცდომები ბევრია"?**

— ამქვეყნად ყველაფერი ღვთის ნებით ხდება. არ ვიცი, რას გულისხმობთ „ჩადენილ შეცდომებში", მაგრამ უშეცდომო კაცი არ არსებობს. თავს იმით ვინუგეშებ, რომ ეს უნებური და გაუმიზნავი შეცდომები იყო, იქნებ უცნაურად ჟღერს, მაგრამ სიყვარულით ჩადენილი შეცდომები, რომელთა სიმწარეს დღემდე ვიმკი. რაც შეეხება სოლიდურ ასაკს, იმედია, ჩემი თეთრი წვერი და მეფე ლირის სამოსი მაყურებელს შეცდომაში არ შეიყვანს. ეჰ, როგორ მატკინეთ გული, ეს-ეს იყო, სიყვარულზე უნდა დამეწყო ლაპარაკი!...

**— თუ ხელოვნის ყოველ ნაბიჯს სიყვარული უნდა ათბობდეს, ჩვენ სიყვარულზე უკვე ვილაპარაკეთ. ასე რომ, იმ თურქი მაყურებლისა არ იყოს, იცოცხლე, ბებერო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!**

**ლილი ფოფხაძე.**
სტამბოლი-თბილისი,
10 ივნისი.

## ...ვერას იტყვის ვინცა გრძელად

გორის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა „ვეფხისტყაოსნის" მოზეპირეთა კონკურსი.

კონკურსი წელს მეოთხედ მოეწყო. მასში მონაწილეობდნენ ქალაქისა და რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 60-ზე მეტი მოსწავლე.

წინასწარ პაექრობაში გამარჯვებული თვრამეტი მოსწავლე ფინალურ ასპარეზობაზე დაუშვეს. ყველა მათგანი სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა.

კონკურსზე თავი გამოიჩინა მესამე საშუალო სკოლის მეოთხეკლასელმა შალვა ტლაშაძემ. მის მიერ ზეპირად ნათქვამი „ვეფხისტყაოსნის" „შაირი" ყველაზე გრძელი აღმოჩნდა — 640 სტროფი.

ქალაქის მეათე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა მაია ბუთხუზმა წაიკითხა პოემის 440 სტროფი.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა აფორიზმების მთქმელთა კონკურსი, სადაც ფინალში იპაექრეს მეთერთმეტე და მესამე კლასელებმა: მარიკა გელდიაშვილმა და შოთა მიქელაძემ. მოწონება დაიმსახურა ქალაქის რუსული მეექვსე სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ინა ვორობიოვამ, რომელმაც რუსთაველის აფორიზმების ჩინებული ცოდნა გამოამჟღავნა.

**გურამ ვაშაკიძე.**

## ეს ჩვენი საქართველოა!





ჟამთა სვლა.
მიხეილ ჯაფარიძისა და სანდრო მამასახლისის ფოტო.

## ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

### იმედიანი მოლოდინი

**საქართველოში** აზერბაიჯანიდან „მოზდოკ-ყაზი-მაჰომედ-ყაზახ-საქართველოს" მაგისტრალური გაზსადენით შემოდის ბუნებრივი გაზი თურქმენეთიდან. 11 ივნისის 10 საათისათვის ყოველდღიური ნორმა შეადგენდა ხუთ მილიონ კუბურ მეტრ გაზს და მოსალოდნელია ამ მოცულობის გაზრდა, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს „საქტრანსგაზის" საწარმოო გაერთიანების დისპეტჩერმა ოთარ მერაბიშვილმა.

ამჟამად ამ სახეობის სათბობით ძირითადად უზრუნველყოფილია კახეთის, ყაზბეგის, ქუთაისის, მარნეულისა და თბილისის მოსახლეობა.

ჩრდილოეთ ოსეთის მხრივ ბლოკადამდე დღე-ღამის განმავლობაში რესპუბლიკა იღებდა 22 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს. აქედან დაახლოებით შვიდი მილიონი სომხეთისთვის იყო განკუთვნილი.

### აღიარება მოვიდა პარიზიდან

**სასიამოვნო** ახალი ამბავი მიიღო პარიზიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების ინსტიტუტმა. მისი დირექტორი, მთავარი კონსტრუქტორი ელგუჯა მეძმარიაშვილი არჩეულია საერთაშორისო ასტრონავტული ფედერაციის ენერგეტიკის დიდი კოსმოსური კონსტრუქციების ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელად.

### საჭადრაკო ოლიმპიადაზე

#### დღეს მეხუთე ტურია

**მანილაში** მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე მორიგ ტურში ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა კვლავ იმარჯვეს. ამჯერად მათ დაამარცხეს რუმინელები — 2:1. გაიმარჯვეს მაია ჩიბურდანიძემ და ნინო გურიელმა. ნონა გაფრინდაშვილი კი დამარცხდა. კარგად ითამაშეს ვაჟებმაც. მათ უკრაინის ძლიერ გუნდთან ფრედ — 2:2 დაასრულეს შეხვედრა. გუშინ ოლიმპიადაზე შესვენება იყო. ოთხი ტურის შემდეგ ვაჟებს 11 ქულა აქვთ, ქალებს — 9,5.

### გამოსათხოვარი

#### არჩილ ბაქურაძე

ბრმა ტყვიამ კიდევ ერთი ვაჟკაცი, 18 წლის არჩილ ბაქურაძე მოსტაცა საქართველოს. სიყმაწვილის მიუხედავად არჩილ ბაქურაძემ სამშობლოსათვის ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო. მისი მეგობრები, „მხედრიონის" წევრები, მწუხარებით იუწყებიან მის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს „მხედრიონი".

## კრიმინალური ქრონიკა

### ფრთხილად, თეთრი სიკვდილი მოდის!..

**შეიძლება** ითქვას, რომ ბოლო ხანს საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებამ უკვე კატასტროფულ ზღვარს მიაღწია. იყო დრო, როდესაც გზააბნეული ადამიანები მხოლოდ მორფით იბინძავდნენ გონებას. ახლა არჩევანი მრავალფეროვანია: — ოპიუმი, ჰაშიში, კოკნარი... თვლა არა აქვს ძლიერმოქმედ აბებს, ამპულებს, ფხვნილებს...

მომხმარებელიც დამნაშავეა, მაგრამ ცხრაჯერ მეტი დამნაშავეა ნარკოტიკების ვაჭარი, „თეთრი სიკვდილის" ჩუმი მთესველი. ისინი, ჯერ ერთი, გაბრიყვებულ ადამიანებს ღუპავენ, მეორეც, ყაჩაღობისკენ უბიძგებენ, რამეთუ ერთი „ჩხვლეტა" ნარკომანს უკვე 2 ათასი მანეთი უჯდება. საიდან მოიტანოს ამდენი ფული?

და ამ დროს... თბილისში დააკავეს დმანისელი ძმაკაცები ვალერი ჩხეტიანი და რამაზ ანსიანი. მათ მანქანაში უპოვეს 5 კილოგრამი „ჰაშიში". ოჩამჩირეში გია კაკულიას ბინის ჩხრეკისას აღმოუჩინეს 26,5 კილოგრამი „კოკნარი". 23 მაისს სენაკში წალენჯიხელ ლონგერ კვარაცხელიას და თბილისელ გიორგი ლაფაჩს უპოვეს 100-100 გრამი „ანაშა"; სამტრედიაში ვიქტორ შესტოვალოვს ჩამოართვეს 810 გრამი „ხაშხაშის" ფხვნილი; თბილისში კი რამაზ კაციტაძეს დაატოვებინეს 110 ამპულა „მორფინი". „თეთრ სიკვდილს" ეთამაშებოდნენ გალელი თენგიზ ხასაია, სოხუმელი პეტრე კაველაძე, ბათუმელი თემურ გოგიტიძე...

ამ უდიდეს ჭირს, ეტყობა, ველარ ვშველით. უკვე ლაპარაკია ნაკლებ ბოროტებაზე — ნარკომანიის ლეგალიზაციაზე. რუსეთი უკვე იმკის ამის მწარე ნაყოფს. რას მოგვიტანს იგი ჩვენ?

### ძმა ძმისთვისაო და... ამ დღისთვისაო?

**რატომღაც** ფერმკრთალდება უწინდელი ძმობის ეშხი და მადლი. ადრე ისინი, ზღაპარსა თუ სინამდვილეში, ბოროტების დასათრგუნად, მტრის დასამარცხებლად მიდიოდნენ ერთად. ახლა კი, პირიქით ირჯებიან.

ამას წინათ სენაკში, რკინიგზის სადგურში ძმებმა, ჯერ კიდევ მოსწავლეებმა თამაზ და ლადო მიქაძეებმა ვაგონიდან მოიპარეს 51 შეკვრა ბამბა. ნაქურდლის საერთო ღირებულება 10.000 მანეთი. 15 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალ კახათში თენგიზ კვარაცხელიას ბინის გასაძარცვად მისულ ბანდაში იყვნენ ძმები — პაატა და გიორგი გვარჯალაძეები. ახლახან სიღნაღის რაიონში ძმებმა მალხაზ და ნუგზარ კორაშვილებმა გატეხეს ზაურ ბერიაშვილის სახლი და გაიტაცეს საოჯახო ნივთები, ადრე კი გორის რაიონში ძმებმა პაატა და გიორგი ოქრუაშვილებმა 6-ჯერ ააწიოკეს მეზობლები..

ძმების ვოიაჟი ზოგჯერ ტრაგიკულად მთავრდება. ამას წინათ გარდაბნის რაიონში ჩაქოლეს ყაჩაღები. ოთხი უაზრო მსხვერპლიდან ორნი ძმები იყვნენ — აფციაურები. თბილისში კი ახლახან ჩაქოლილთა შორის აღმოჩნდნენ ძმები ლურსმანაშვილები.

ნათქვამია, ძმა ძმისთვისაო, შავ დღისთვისაო. ეს შავი დღე გაჭირვებაში წაშველებაა და არა ქურდობაში წაქალისება, ეს ყველამ უნდა იცოდეს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა მაინც უნდა იცოდნენ ძმებმა, რათა ერთი დედის შვილები ტყუპ-ტყუპად არ აღმოჩნდნენ იმ დაწყევლილ საბრალდებო სკამზე.

გაზეთი „სიმართლე".

**თენგიზ გოგოლაძე**

# შანსი

## ცრემლიანი ხუმარსიტყვა

— რა შანსი გავუშვით ცხოვრებაში, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია!... მარიამ, ჭკვიანი ქალი მეგონე და შენც ქურში მჯდარხარ, კომპოტებსა და მურაბებს აკეთებდი, ბადრიჯანს აკონსერვებდი...

— მერიდა, რაღას მემდური, შე კაცო?! ქურში თუ ვიჯექი, მაგდენ რამეს ვინ გაგიკეთებდათ?!

— არა, მე ის მინდოდა მეთქვა, შანსი მაინც გავუშვით და ამას შთამომავლობა არ გვაპატიებს... ცოტა ხნის წინ კილო პური ხომ ღირდა 50 კაპიკი?

— კი, ღირდა, ნეტაი იმ დღეს!

— ახლა?

— ახლა ხუთი მანეთი ღირს.

— აგაშენა ღმერთმა! თავის დროზე გვეყიდა და დაგვეყარა ბლომად... ფქვილიც მოგვეზიდა, რაღაც კაპიკები უნდოდა... ახლა რომ წელში ვწყდებით! თუ გახსოვს, რა ღირდა ლიტრი რძე?

— შე კაცო, რა დამავიწყებს, აგერ, გუშინ არ იყო? ლიტრი — 60 კაპიკი.

— ახლა?

— ახლა, რა ვიცი, ამბობენ, მაღაზიაში თუ მოიტანეს, 6 მანეთიო..

— კიდევ ერთხელ აგაშენა ღმერთმა! თავის დროზე რძის ფხვნილიც რომ დაგვეყარა შინ, ურიგო იქნებოდა?! კომპოტები და კომპოტები! გადაყევი ამ კომპოტებს? ახლა კარაქი? კილოგრამი 3 მანეთი და 60 კაპიკი ღირდა, ახლა ღირს... ეშმაკმა იცის, რა ღირს!.. ხვალ ალბათ ოთხასი მანეთი იქნება და, შეიძლება, ასეთი სიჩქარით თუ იარა, ათასიანის კარსაც მიუკაკუნოს. მოდა, იმას გეუბნებოდი, ამ ფასებში ხომ მოგვივიდოდა ბლომად კარაქი? შეგვეძინა, გადაგვედნო და ბლომად ერბო გვექნებოდა.

—ისე ლაპარაკობ, თითქოს მაშინ გადაგვდიოდა თავზე ფული! არ გახსოვს, ერთხელ ისე გაგვიჭირდა, სარდაფში დაგროვილი ნახევარლიტრიანი ბოთლები რომ გავაზიდინე?

— ცეცხლზე ნავთს მისხამ, ეს რა გამახსენე! შენ მოგეცეს ჩემი ცოდო, მაშინ რო შემომიჩნდი და ათ კაპიკად ჩამაბარებინე ბოთლი! ახლა თითოს ხუთ მანეთად ჩავაბარებდით... რა შანსი გავუშვით ღმერთო ჩემო! რა უტვინოდ და უყაირათოდ ვიქცეოდით!

— ახლა მეც ვნანობ, მაგრამ რა ვქნათ! კაპიკიანი ასანთის ყიდვას რაღა უნდოდა! ან რა ბევრი ადგილი იმას სჭირდებოდა! სამი ათასი ცალი მაინც დაგვეგროვებინა და ოცდაათმანეთიან ასანთში დღეს 1800 მანეთს დავზოგავდით.

— კარგი, ქალო, გაგიჟება მაკლია?!

— ნუ გაგიჟდები და ნურც ნურაფერს გაიხსენებ.., მე რო ბევრ რამეს მაბრალებ, შენც დააშავე!..

— ეგღა გვაკლია ერთმანეთს ვაბრალოთ ქვეყნის დანაშაული! შენ ისა თქვი, ორივე ქურში ვისხედით და წინ გახედვის უნარი მოგვაკლო ღმერთმა.

— გულთმისნები ხო არ ვიყავით, ვის ეგონა საბაზრო თუ ბაზრული ეკონომიკა ასე უცებ და გაბოროტებით დაგვეძგერებოდა!

— ახლა რა უნდა ვქნათ? ჩემი დასამარხი ფული უკვე გამოვჭამეთ და შენსას მივადექით... თავი რით დავიმარხოთ?

— ზემოთ არავინ დაგვტოვებს... ჯერ არავინ დაუტოვებიათ...

— ამ საქმეშიც გავუშვით შანსი,.. ამას ჩვენი მომავალი თაობა არ გვაპატიებს, ისე ძვირი დაუჯდებათ ჩვენი დამარხვა. თავის დროზე მუხის კუბო 450 მანეთი ღირდა, ახლა 8000 მანეთი უნდაო. ეს ქელეხიო, ეს ისაო, ეს ესაო... საფლავის ადგილიო. უწინ 2000 მანეთი თუ უნდოდა, ახლა ალბათ ორასი ათასს არ დასჭირდებიან. აქედანვე უნდა დავიხაროთ: თუ კუბოს მაღირსებენ, ღამით სახურავი გარეთ არ დარჩეთ, ვინმე წაიღებს და ახლა მისი გამოსასყიდიც დაემატება დანასისხლად შეძენილ სახსრებს... რა დღე გველის, მარიამ, რა დღე! შეგვაჩვენებენ ჩვენი შვილები, აბა, რა იქნება, მერედა, როგორ შეგვაჩვენებენ!

— აბა, აბა! კარგი იყო, დროზე ჩავსულიყავით მიწაში.. რა შანსი გავუშვით, ჩემო სიცოცხლე!

## ვალუტის ბირჟა

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი გვაუწყებს

უცხოური ვალუტის კურსს

| ვალუტის დასახელება | საბაზრო კურსი | სპეციალური კომერციული კურსი |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | 64-81 | 41-94 |
| 1 ავსტრიული შილინგი | 7-58 | 4-88 |
| 1 გირვანქა სტერლინგი | 155-51 | 100-62 |
| 10 ბელგიური ფრანკი | 25-98 | 16-81 |
| 1 გერმანული მარკა | 58-40 | 34-55 |
| 1 ჰოლანდიური გულდენი | 47-42 | 30-68 |
| 1 დანიური კრონი | 13-82 | 8-95 |
| 100 იტალიური ლირა | 7-06 | 4-57 |
| 1 კანადური დოლარი | 71-02 | 45-96 |
| 1 ნორვეგიული კრონი | 13-67 | 8-85 |
| 1 ამერიკული დოლარი | 85-00 | 55-00 |
| 1 ფინური მარკა | 19-56 | 12-66 |
| 1 ფრანგული ფრანკი | 15-85 | 10-26 |
| 1 შვედური კრონი | 14-79 | 9-57 |
| 1 შვეიცარიული ფრანკი | 58-51 | 37-86 |
| 10 იაპონიური იენი | 6-68 | 4-33 |
| 1 ეკიუ | 109-27 | 70-70 |
| 10 ესპანური პესეტი | 8-44 | 5-40 |
| 10 ბერძნული დრაჰმა | 4-42 | 2-88 |
| 1 ირლანდიური გირვანქა | 142-18 | 92-00 |
| 1 ისლანდიური კრონი | 1-51 | 0-98 |
| 1 ქუვეითური დინარი | 292-90 | 189-52 |
| 10 ლიბანური გირვანქა | 0-48 | 0-31 |
| 10 პორტუგალიური ესკუდო | 6-40 | 4-14 |
| 1 სინგაპურული დოლარი | 52-28 | 33-79 |
| 10 თურქული ლირა | 0-13 | 0-08 |

რეკლამა ● განცხადება რეკლამა ● განცხადება რეკლამა ● განცხადება

აი რატომ უნდა მობრძანდეთ,
ბატონებო,
25 ივნისს
თბილისის
ბიზნეს-ცენტრში
ბროკერი
ბირჟა
ბროკერი
TBC
პირველად
საქართველოში!
25 ივნისს, ხუთშაბათს
12 საათზე, თბილისის
ბიზნეს-ცენტრი
TBC (დი-ბი-სი)
იწყებს რეგულარულ
სავაჭრო შეკრებებს, რომლებზეც თქვენ შეგეძლებათ
ყოველგვარი შუამავლის გარეშე
იყიდოთ ან გაყიდოთ ნედლეული, ფართო მოხმარების
საქონელი, საკვები პროდუქტები, უძრავი ქონება,
ფასიანი ქაღალდები და სხვა.

TBC—ში თქვენ გელით გარიგების გაფორმების გამარტივებული პროცედურა, მინიმალური საკომისიო პროცენტი. მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ მიიღოთ კვალიფიციური კონსულტაციები ფასიანი ქაღალდების შესახებ.

ველით თქვენს განაცხადებს!
ჭავჭავაძის პრ. 11
22-26-07 22-02-12
22-04-16 29-43-56
212915 TBC SU
29-43-56
ტელექსი
ფაქსი
TBC
ყოველგვარი შუამავლის გარეშე!

გავაზი
სადაზღვევო კომპანია
საწარმოებს, ფირმებსა და კერძო პირებს
ჩვენი კომპანია გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში
«გავაზში» გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება
გახსოვდეთ!
ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით.
«გავაზი»
თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!
ჩვენი მისამართია: თბილისი ვაჟა ფშაველას 43. ტელ: 39 55 67. 39 11 64
[illegible] 41 [illegible]

## ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრის განცხადება

**1992 წლის 17 ივნისს, 11 საათზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში (რუსთაველის გამზირი 21) გაიმართება მთავარი კომიტეტის საგანგებო სხდომა,** რომელზეც განიხილება წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები. ედპ-ს რეგიონულ ბიუროთა და კომისიათა თავმჯდომარეებს, სამსახურთა უფროსებს ვთხოვთ, გამოცხადდნენ მთავარი კომიტეტის სხდომაზე.

გიწვევთ კოლეჯში

ქალაქ თბილისის ფასიანი სამედიცინო-ბიოლოგიური კოლეჯი, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის კათედრების და წამყვანი სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების ბაზაზე მუშაობს, აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. მედდის საქმე — ქართული და რუსული სექტორები; 9 და 11 კლასის ბაზაზე.
2. სამეანო საქმე (ბებია ქალი) — ქართული და რუსული სექტორები; 11 კლასის ბაზაზე.
3. ფარმაცია — ქართული და რუსული სექტორები; 9 და 11 კლასის ბაზაზე.
4. ორთოპედიული სტომატოლოგია (კბილის სატექნიკო) — ქართული და რუსული სექტორები; 9 და 11 კლასის ბაზაზე.

განცხადებას დირექტორის სახელზე უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. არასრული და სრული საშუალო სკოლის ატესტატები (დედანი), 2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 086 M), 3. ოთხი ფოტოსურათი 3X4, 4. პასპორტს, დაბადების მოწმობას (9 კლასის ბაზაზე შემსვლელნი) და სამხედრო მიწერის ბარათს წარმოადგენთ პირადად.

გასაუბრება გაიმართება: 9 კლასის ბაზაზე — 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში ან რუსულ ენაში — სექტორების მიხედვით, 2. ანატომიაში. 11 კლასის ბაზაზე — 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში ან რუსულ ენაში — სექტორების მიხედვით, 2. ბიოლოგიაში.

საბუთები მიიღება 15 ივნისიდან 8 აგვისტომდე. 15 საათიდან 19 საათამდე. გასაუბრება — 15 აგვისტომდე, ეტაპობრივად.

მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზირი, № 27, 52-ე საშუალო სკოლა, (მედქალაქის ტერიტორია). ტელ.: 39-55-01.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, [illegible] ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები [illegible],
წერილების განყოფილება [illegible].

[illegible]

[illegible]

ინდექსი 64426